გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N3 (9183) | 30 იანვარი. 2016 წელი | ფასი 50 თეთრი



## დიდთოვლობას გაღმა ზონის სოფლებში მოძრაობა არ შეუფერხებია 2

ყოველი დღე გვაახლოებს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან 5

# პანიკის საბაბი ნამდვილად არ არის!

2 ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესის განახლება პირველ თებერვლამდე შეჩერდა

ერთჯერადი ფულადი დახმარება საგარანტიო წერილებით შეიცვალა 3

სამტრედიისთვის დახარჯული კაცი 8

# ჩვენ მივიღებთ ნამდვილ თვითმმართველობას

სამტრედიელი "კონსერვატორები" ყრილობისთვის ემზადებიან 4

„ადამიანის ბედის გადაწყვეტისას კიდევ ერთხელ ჩაიხედოთ წიგნში" 9

ბენეფიციარს ტენდერი არ აინტერესებს, ბენეფიციარს შია!

დავით ჯოჯუა _ ქვეყნის საუკეთესო მოჭადრაკე 6



5



# კონტაქტი სოფლებთან არ უნდა გაწყდეს







ნინო ნანიტაშვილი

ორშაბათის ტრადიციული თათბირი მუნიციპალიტეტის გამგებელმა თოვლზე საუბრით დაიწყო. ვალერიანე ფოცხვერიამ განსაკუთრებით გაღმა ზონის სოფლები მოიკითხა. მიიღო ინფორმაცია, რომ გორმაღალში, გამოჩინებულსა და ნოღაში ამ კუთხით საგანგაშო სიტუაცია არ არის შექმნილი. თოვლის საფარი 25 იანვრის მდგომარეობით 10 სანტიმეტრს აღწევს. არათუ საგანგაშო, პირიქით, იანვრის ბოლო დღეებში მოსულმა თოვლმა გორმაღლელებში სასიამოვნო განწყობა რომ შექმნა, ამაზე ხათუნა ლებანიძის რეპლიკა მეტყველებს: "ჩვენთან, სოფელში თოვა 24 იანვარს, საღამოს საათებში დაიწყო. დღეს დილით გაღვიძებულებს 10 სანტიმეტრი სიმაღლის თოვლი და თეთრად გადაპენტილი ბუნება დაგვიხვდა. ვისაც უყვარს რომანტიკა, ყველას გეპატიჟებით გორმაღალში".

ზამთრის მიმართ ასეთი დამოკიდებულება სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს დამშვიდების უფლებას მაინც არ აძლევს. ვალერიანე ფოცხვერიამ ორშაბათის ტრადიციული თათბირის მონაწილეები საგანგებო შტაბის შექმნის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენა: "სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც 24 საათის განმავლობაში მობილიზებულია. გვექნება კონტაქტი სოფლებთან, გთხოვთ, მობილური ტელეფონები ჩართულ მდგომარეობაში გქონდეთ და უმნიშვნელო ექსცესების შემთხვევაშიც კი საქმის კურსში ჩაგვაყენეთ."

მუნიციპალიტეტის გამგებელი არ მორიდებია იმის თქმას, რომ იანვრის პირველ ნახევარში მოსული უხვი თოვლის დროს საგზაო დეპარტამენტმა სათანადოდ ვერ იმუშავა: "პირიქით დაგვემართა, დასახმარებლად მოსული საგზაო დეპარტამენტის ტექნიკა ჩვენი დასახმარებელი შეიქნა. ასე აღარ მოხდება, მობილიზებული გვაქვს შესაბამისი ტექნიკა, რომელსაც შემდეგ სოფლებს მივამაგრებთ".

25 იანვარს სამტრედიის სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესი განახლდა. ვალერიანე ფოცხვერიამ გამგებლის წარმომადგენლებს სოფლებში ბაგა-ბაღებზე მზრუნველობა დაავალა: "ჩვეულებრივ სიტუაციაში საბავშვო ბაღებზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება ზრუნავს. თუმცა ზამთრის პერიოდში ყურადღება მათ თქვენი მხრიდანაც სჭირდება".

ვალერიანე ფოცხვერია ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს სამსახურში მოსახლეობის მიმართვიანობით დაინტერესდა. მოიკითხა, თუ რა სახის განცხადებებით მიმართავენ ლევან ახობაძის სამსახურს სამტრედიელები. გაირკვა, რომ მოსახლეობა ისევ აქტიურად ითხოვს ერთჯერად დახმარებას. ნაწილი კმაყოფილია წამლების პაკეტის ამოქმედებით, ნაწილი _ უკმაყოფილო. ამ უკანასკნელთან მიმართებაში მუნიციპალიტეტის გამგებელს მოკლე შენიშვნა ჰქონდა: "მივაქციოთ ყურადღება, წამლების მიმღებთა სიაში არ მოხვდეს ისეთი ადამიანი, ვისაც ეს პაკეტი არ სჭირდება".

მუნიციპალიტეტის გაღმა ზონაში გაზიფიცირება წარმატებით მიმდინარეობს. ამის შესახებ განცხადება გომში გამგებლის წარმომადგენელმა გააკეთა: "სამუშაო პროცესით ძალიან კმაყოფილი ვარ. თუ წვიმა არ არის, გაზიფიცირება სოფელში ინტენსიურად მიმდინარეობს".

ზაზა ნიკოლეიშვილი კმაყოფილებასთან ერთად უკმაყოფილებასაც გამოთქვამს. კერძოდ, სოფელში გაკეთებული დამცავი დამცავი უკვე დაზიანებულია: "სკოლასთან, სადაც ავტომობილები დიდი სიჩქარით გადაადგილდებოდნენ და ფეხით მოსიარულე სკოლის მოსწავლეებს საფრთხეს უქმნიდნენ, დიდი ხანი არ არის, რაც დამცავი გაკეთდა. სამწუხაროდ, 4-დან სამი ამოვარდნილია და დამცავმაც თავისი ფუნქცია დაკარგა. სასურველია, ასეთი ბარიერები უფრო მეტი სერიოზულობით რომ მზადდებოდეს".

# დიდთოვლობას გაღმა ზონის სოფლებში მოძრაობა არ შეუფერხებია

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის გაღმა ზონის სოფლები დიდთოვლობის პირობებში ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი. 24 საათის განმავლობაში მუშაობს საგანგებო შტაბი, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია ხელმძღვანელობს. 27 იანვარს შტაბის წევრებთან გამგებლის მოადგილე როსტომ თავაძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს ზურაბ გოგიასთან ერთად ვალერიანე ფოცხვერია ოფეთის თემს და სოფელ წიაღუბანს ეწვია, თავადვე შეხვდა მოსახლეობას და მათგან მოისმინა სამადლობელი სიტყვები. მადლობას სოფლის მკვიდრნი ხელისუფლებას დროული რეაგირების გამო უხდიდნენ. გაიწმინდა 16 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი დაფნარიდან წიაღუბნამდე. არ შეფერხებულა არც სასწავლო პროცესი სოფლის სკოლებში და არ შეწყვეტილა ელექტროენერგიის მიწოდება.

სოფელ წიაღუბანში ვართ. ზღვის დონიდან 450 მეტრზე ვიმყოფებით, თოვლის საფარმა ამ დღეებში 70 სანტიმეტრს მიაღწია. ეს უკვე მეორე დიდთოვლობაა ბოლო 1 თვის განმავლობაში. ჩვენს მანქანას გაწმენდილ გზაზე უხდება სიარული. გზაზე ბატონები რომან და



ტარიელ თევზაძეები შეგვხვდნენ. ბატონი ტარიელი ოფეთის თემის მაჟორიტარი დეპუტატია, ბატონი რომანი კი ხელისუფლებასთან მადლობის სათქმელად მოვიდა. მალე ტრაქტორიც გამოჩნდა და მასზე მყოფი გამგებლის წარმომადგენელი ოფეთის თემში, თემურ ჩხაიძე. 27 იანვრის მდგომარეობით გზის ძალიან მცირე მანძილი იყო გასაწმენდი. ტექნიკამ მუშაობა გააგრძელა. ჩვენ კი ინტერვიუები ვთხოვეთ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე სოფლის მკვიდრს.

ვალერიანე ფოცხვერია: "ისეთი უხვი ნალექი მოვიდა, პრობლემები არა მხოლოდ ჩვენს მუნიციპალიტეტში, საქართველოში შეიქმნა. მაგრამ ჩვენ შევქმენით შტაბი, გავანაწილეთ ფუნქციები. სოფელ წიაღუბანში ვართ ისევ, რო-



გორც წინა დიდთოვლობის დროს, ახლაც გამოიყო ტექნიკა, არც მაშინ დაგვიტოვებია უყურადღებოდ სოფელი, არც ახლა. ინტენსიურად ვაკვირდებით მდგომარეობას, ელექტროენერგია მუდმივად მიეწოდება სოფელს. იმას, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ვასრულებთ".

**_ სინოპტიკოსები ისევ დიდ თოვლს პროგნოზირებენ. რამდენად მზადაა ჩვენი მუნიციპალიტეტი?**

_ ჩვენ მზად ვართ, მართალი გითხრათ, მუნიციპალიტეტს საკმარისი ტექნიკა არა აქვს, მაგრამ ზოგი კერძო პირისაგან დავიქირავეთ, ზოგი სხვადასხვა ორგანიზაციებისგან. დღეს გამოჩინებული-ოფეთის ზონაზე მომაგრებულია "ნიუჰოლანდის" ტიპის ტრაქტორი, ის შპს "მექანიზატორს" ეკუთვნის. თუ არ იკმარა ამ ტექნიკამ, შევძლებთ დამატებით მიწოდებას. მზადაა "ჯი სი ბის" ტიპის ტრაქტორები. ქუთაისის სხვადასხვა ორგანიზაციებთან გვაქვს მოლაპარაკება, თუ დაგვჭირდა, აუცილებლად დაგვეხმარებიან. იმერეთის გუბერნიასთან მუდმივი კონტაქტი გვაქვს. ჩვენ არ გვაქვს ტექნიკა, რომელიც გზებზე მარილს მოაყრის. ის ქუთაისის მერიას და საგზაო დეპარტამენტს აქვს. ამდენად, თუ, კი ქალაქში დაგვჭირდა, მოგვეხმარებიან. წინა დიდთოვლობის დროსაც დაგვეხმარნენ.

"ვინც ადამიანურად აზროვნებს, მას უკმაყოფილების ოდნავი საბაბიც არ უნდა ჰქონდეს. უყურადღებოდ არ მიუტოვებიათ სოფელი. თავის დროზე მოგვაქციეს ყურადღება. დროულად გაიწმინდა გზა, დიდთოვლობის გამო მოძრაობა არ შეფერხებულა". _ გვითხრა ბატონმა რომან თევზაძემ.

" ეს ჩვენი მუნიციპალიტეტის და ჩვენი თემის ყველაზე მაღალი სოფელია. _ ერთგვარ ექსკურსიამძღოლობას გვიწევს გამგებლის წარმომადგენელი ოფეთის თემში, თემურ ჩხაიძე. _ აქ ძირითადად თევზაძეები და კაცაძეები ცხოვრობენ. სოფელი რამდენიმე უბნად იყოფა: კაცაძეების, კორიჭეების, გაღმა გორი, გამოღმა გორი. ნალექი 2 დღეა, რაც მოვიდა, თოვლის საფარმა 60-70 სანტიმეტრი შეადგინა. ოპერატიულად გაიწმინდა დაფნარი წიაღუბნის საავტომობილო გზის 16 კილომეტრიანი მონაკვეთი. არც მოსახლეობის სამადლობელმა დააყოვნა. ისევე როგორც ახლა, წინა ნალექის დროსაც ოპერატიულად დაგეგმა მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაწმენდითი სამუშაოები, მაგრამ მაშინ



ერთ დღე-ღამეში იმდენი ნალექი მოვიდა, სწრაფად ვერ გაიწმინდა გზა. შეცდომებზე საუბარი ადვილია. კარპოვისა და კასპაროვის მატჩს შემდეგ მოყვარულებიც კი არჩევდნენ... გამოცდილებაც მივიღეთ ამ დღეებში და მოსახლეობაც კმაყოფილია, ჩვენც ენერგიას გვმატებს მათი კეთილგანწყობილება. დღის ბოლომდე 3-4 კილომეტრით წინ წავიწევთ და სოფელ თხილაგანშიც გავწმენდთ გზას.

ტარიელ თევზაძე, ოფეთის თემის მაჟორიტარი დეპუტატი: "ამჯერად თოვლმა ისეთი დიდი პრობლემა არ შეგვიქმნა, როგორც 1 თვის წინ. თუმცა, ყოველ საათში ვუკავშირდებოდით ბატონ ვალერიანეს, სოფელში იყო მიცვალებული, მაშინვე მოგვაქცია ხელისუფლებამ ყურადღება, მოავლინა ტექნიკა, გაიწმინდა გზები და გარდაცვლილის ოჯახს პრობლემა არ შექმნია. მხოლოდ ერთი დღე, როცა ქარბუქი ამოვარდა, ვერ შევძელით ტრაქტორით მუშაობა. ამჯერად კი მოძრაობა არ შეწყვეტილა, სოფლის მცხოვრებლებს არანაირი პრობლემა გადაადგილებისა არ შექმნიათ. გუშინ ოფეთის თემში იყო გარდაცვლილის დასაფლავება, ტექნიკა ოფეთსა და მტერჩვეულში მუშაობდა, დღეს კი წიაღუბანშია".

## ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესის განახლება პირველ თებერვლამდე შეჩერდა

ნინო ნანიტაშვილი

როგორც კი ტენდერი შედგა, დაინტერესებული პირებისთვის ცნობილი გახდა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესი 25 იანვარს განახლდებოდა.

ტენდერი შედგა, გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ამდენად, სააღმზრდელო პროცესის განახლებას ხელს არაფერი უშლიდა.



25 იანვრის დილით, 9 საათზე ბაგა-ბაღები მობილიზებული და მომზადებული იყო, ბავშვები მიეღო. ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ მე-4 ბაგა-ბაღი, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. სავარაუდოდ, მე-4 ბაგა-ბაღში აღზრდის პროცესი 27 იანვარს განახლდებოდა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ინფორმაციით, 25 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 22 ბაგა-ბაღში 1191 აღსაზრდელიდან მხოლოდ 370 ბავშვი გამოცხადდა, რაც იმას მიუთითებდა, რომ სააღმზრდელო პროცესის განახლება ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ გახლდათ: "35 პროცენტი იმის მიმანიშნებელია, რომ მშობლებს ან უამინდობის, ანდა ქვეყანაში გავრცელებული ვირუსის გამო შვილები საბავშვო ბაღში არ მოჰყავთ. მაქვს ინფორმაცია, ჯანმრთელი ბავშვებიც კი არ მოჰყავთ ბაღში იმის შიშით, რომ არ დავირუსდნენ.

ამდენად, მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით მივიღე გადაწყვეტილება, სააღმზრდელო პროცესი პირველ თებერვლამდე შემეჩერებინა. იმედი მაქვს, პროცესის განახლებას ხელს არც ვირუსი და არც უამინდობა შეუშლის".

# ერთჯერადი ფულადი დახმარება საგარანტიო წერილებით შეიცვალა

ნინო ნანიტაშვილი

***მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2016 წლის მიზნობრივ სოციალურ პროგრამაში სახე იცვალა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ, რაც ითვალისწინებს ქრონიკულად დაავადებული და ამავე დროს სოციალურად დაუცველ მოქალაქეთათვის 100-150 ლარის ფარგლებში წამლების შეძენისთვის საგარანტიო წერილების გაცემას.***

"სამტრედიის მაცნე" დაინტერესდა და გაარკვია, რომ ამ მიმართულებით და 26 იანვრის მაჩვენებლით 30-ზე მეტი საგარანტიო წერილია გაცემული. წელიწადზე მეტია, ლევან ახობაძე ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ პირებს იმაში არწმუნებს, რომ ერთჯერადი ფულადი დახმარებები გამოიყენებოდა არამიზნობრივად და მას პოლიტიკური პარტიები ძირითადად წინასაარჩევნო პერიოდში სათავისოდ იყენებდნენ: "ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მედიკამენტების პროგრამა გამოგვეყენებინა ზუსტად მედიკამენტებისთვის. სწორედ ამიტომ ვიღებთ ვალდებულებას, სამტრედიაში მოქმედ სხვადასხვა სააფთიაქო ქსელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, გავცეთ საგარანტიო წერილები, რომლის ანაზღაურება მოხდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. ამის პრაქტიკა წლების განმავლობაში არსებობდა მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების მიზნით, ძირითადად სხვადასხვა სახის ქირურგიული ოპერაციების დასაფინანსებლად. 2016 წლის პირველი იანვრიდან კი უკვე ამოქმედდა საგარანტიო წერილებით მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა".

სოციალური პროგრამისა და სოციალური დახმარების გაცემის წესის მეორე მუხლში წერია, მოქალაქეები, რომლებიც ქრონიკულად არიან დაავადებულები (ეპილეფსია, პარკისონი, დიაბეტი გართულებული ფორმით, ასთმა, ინსულტი, ინფარქტის შემდგომი მკურნალობა, შიზოფრენია და ფსიქონერვული დაავადებები) წლის განმავლობაში ერთხელ მიიღებენ 150 ლარამდე ღირებულების საგარანტიო წერილს. დანარჩენები, რომელთაც აქვთ გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მონაცემთა ბაზაში მათი სარეიტინგო ქულა შეადგენს 100 000-სს, მათზე 100 ლარის ოდენობის მედიკამენტების შესაძენი საგარანტიო წერილები გაიცემა.



ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პროგრამაში ასევე ვეტერანების კუთხითაც გვაქვს სიახლე. ეს უკანასკნელი, რომელსაც გაუუარესდა ჯანმრთელობა, საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტების უზრუნველყოფის მიზნით, 200 ლარიან საგარანტიო წერილს მიიღებენ. პირველ და მეორე შემთხვევაში მოქალაქეებმა სოციალურ სამსახურს უნდა წარუდგინონ პირადობის ასლი, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა № 100, შესაბამისი აფთიაქიდან წინასწარი კალკულაცია.

# პანიკის საბაბი ნამდვილად არ არის!

თეა ბაბუნაშვილი

მწვავე რესპირატორული დაავადებების, გრიპის ვირუსების გაძლიერება, როგორც წესი, ამ სეზონისთვის დამახასიათებელი ფაქტორია. ბოლო დროს, არაერთი ახალი დასახელების ვირუსის გავრცელების გამო, განსაკუთრებით საშიში გახდა ეს ადვილად განკურნებადი დაავადება. ვირუსი, რომელიც რამდენიმე წლის წინ "ღორის გრიპის" სახელით "გაგვეცნო" და ძლიერ შეგვაშფოთა, კვლავ გააქტიურდა. მართალია, სამედიცინო პერსონალი, ზოგადად, ჯანდაცვის სამინისტრო მოსახლეობას აიმედებს, რომ ქვეყანაში პანიკის მიზეზი არ არსებობს, მაგრამ მოსახლეობის შიშს დიდი თვალები აქვს. მით უმეტეს, რომ "სიფრთხილეს თავი არ სტკივა", იგივე მედიკოსების მთავარი გზავნილია.



ქვეყნის არაერთ სკოლში სასწავლო პროცესი შეჩერდა კიდეც. თუმცა, ეს არა მხოლოდ ვირუსული ინფექციების, უამინდობის გამოც.

რა მდგომარეობაა სამტრედიაში? _ კითხვა, რომელიც ადგილობრივ მედიკოსებს დავუსვით. როგორც აღმოჩნდა, მდგომარეობა არცთუ საგანგაშო კი არა, საერთოდ საგანგაშო არ არის.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ახალი მედიკამენტებითა და დანადგარებით აღჭურვის მიზეზი, რამდენიმე დღის წინ, გრიპის გამო საგანგებო მდგომარეობაზე გადასვლა არ ყოფილა. ამის შესახებ სასწრაფო სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელმა, კოკა ბოკელავაძემ ისაუბრა: "გადმოგვეცა სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი აპარატურა, კარდიოგრამის აპარატები, არტაშანები ტრავმული შემთხვევებისათვის, კრიტიკული შემთხვევებისას დამატებითი მედიკამენტებისთვის სამედიცინო ჩანთები. ეს პროცესი სამტრედიიდან დაიწყო და რეგიონში ყველა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოფისს გადაეცემა." რაც შეეხება გამოძახების სიხშირეს, კოკა ბოკელავაძე ადასტურებს, რომ ისედაც ხშირი გამოძახებების ფონზე, ვირუსული დაავადების გამო გამოძახების რიცხვმა იმატა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ოჯახის ექიმის პრეროგატივა უფროა, მოსახლეობა ყველა შემთხვევაში, როცა ამის აუცილებლობაც კი არ არის, სასწრაფო დახმარებას იძახებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვემსახურებით, ისე, როგორც საჭიროა. ჯერჯერობით საშიში ვირუსის არც ერთი შემთხვევა არ გვქონია. ზოგადი გაციება, ბუნებრივია ხშირია."

პანიკის საბაბს ვერც საოჯახო მედიცინის ცენტრის დირექტორი ქეთევან ფანცულაია ხედავს. გამოცდილი პედიატრი გარკვეულ რეკომენდაციებს აძლევს მშობლებს და აღნიშნავს, რომ " მიუხედავად იმისა, რომ გამომსვლელები არ აშინებენ მოსახლეობას, სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემების გამო, ერთგვარი პანიკაა. ამის საბაბი კი, სამტრედიაში ნამდვილად არ გვაქვს. არაერთგზის განცხადებისა, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართონ ოჯახის ექიმს, მოსახლეობის მხრიდან უგულებელყოფილია. ადრე, მას ოჯახის არა, უბნის ექიმი ერქვა და მოსახლეობა მათთან რეგულარულად მკურნალობდა. გვყავდა პატრონაჟის და, რომელიც იგივე მედდა იყო, მეტი დატვირთვით. პატრონაჟის და ვალდებული გახლდათ ყოველდღიურად ბინაზე ენახა ბავშვი. ძირითადად მაინც კერძოდ მიყვანას, ან საავადმყოფოს არჩევენ პაციენტები, სჭირდებათ თუ არა გადაუდებელი დახმარება. მშობლები თვლიან, რომ გადასხმა აუცილებელია. თუ ბავშვი კონტაქტურია, თამაშობს, იღებს სითხეებს, უარს არ ამბობს საკვებზე, არა აქვს გაძლიერებული სუნთქვა, ხველა, ტკივილი, არ საჭიროებს სტაციონარში განსაკუთრებულ მკურნალობას. რაც შეეხება ტემპერატურას, იგი გარკვეულ ეტაპზე აუცილებელიცაა, რადგან მხოლოდ ტემპერატურა ებრძვის ვირუსს ყველაზე უკეთ. გაჯიუტებული ტემპერატურა კი, რომელიც არ ექვემდებარება დამწევს, დასაფიქრებელია." და იქვე, "ექიმის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გამოკითხვა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც, პაციენტები ექიმის ყურადღებას უფრო აფასებენ, ვიდრე ცოდნას. რა თქმა უნდა, ცოდნა და ყურადღება კონტექსტში უნდა იყოს, მაგრამ პაციენტი ყურადღებას მეტ მნიშვნელობას ანიჭებს! პანიკის საფუძველი ამ ეტაპზე ნამდვილად არ არსებობს, ზამთრის თვეებში მეტიც ყოფილა ვირუსული დაავადებები, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავდაპირველად პიკი დედაქალაქიდან იწყება და ორი-სამი კვირის შემდეგ გადადის რეგიონებში. ვნახოთ, რა იქნება რამდენიმე კვირაში. ჩვენ მზად ვართ, მაგრამ მგონი მაინც ინფორმაციის ნაკლებობაა ყველაფერში დამნაშავე!" _ დასძენს ქეთევან ფანცულაია.

ეს, რაც ვირუსებს შეეხება. ქეთევან ფანცულაია აღნიშნავს, რომ რადგან სამ შემთხვევაში ვირუსოლოგიური კვლევით დაფიქსირდა ღორის გრიპი, ამ ეტაპზე ყველა ვირუსულ შემთხვევას ამ კუთხით უდგებიან. ეს ცხადია, თავის დაზღვევის მიზნით. "სახელმწიფოს და ჯანდაცვის სამინისტროს მიდგომა განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღებაა ნებისმიერი შემთხვევის დროს".

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი-ეპიდემიოლოგი ნანა კიკაჩეიშვილი საუბრობს იმაზე, რომ, როგორც კი სეზონი დგება, ანუ წლის მეორმოცე კვირიდან იწყებენ გრიპისმაგვარი დაავადების ამბულატორიული და მწვავე რესპირატორული ინფექციების ჰოსპიტალიზირებული შემთხვევების რეგისტრაციას. ყველა სამედიცინო დაწესებულებისგან ითხოვენ მონაცემებს, რამდენმა პაციენტმა მიმართა მათ და რამდენი იყო მათ შორის გრიპის ამბულატორიული შემთხვევა. "ჯეოჰოსპიტალიდან" აწვდიან მონაცემებს სტაციონარში მძიმე და მწვავე შემთხვევების თაობაზე. "სამტრედიაში ამ ეტაპზე განსაკუთრებული მატება არ აღინიშნება. მას შემდეგ, რაც ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია, მომართვიანობამ მოიმატა სტაციონარებში. 2016 წლის 18 იანვრიდან 23 იანვრამდე სამედიცინო დაწესებულებებს, ამაში სასწრაფო დახმარების გამოძახების რიცხვიც შედის, 1360-მა პირმა მიმართა. მათ შორის გრიპისმაგვარი დაავადების დიაგნოზი დაესვა 197-ს. რაც შეეხება "ჯეოჰოსპიტალსს" დღეის მდგომარეობით მართვით სუნთქვაზე იმყოფება სამი პაციენტი, ერთი ბაღდათის მკვიდრი, ორიც ჩვენი რაიონიდან: დაბა კულაშელი 63 წლის და დიდ ჯიხაიშელი 48 წლის პაციენტები. სამივეს მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. საქართველოში ძირითადად ცირკულირებს A/H1P ქვეტიპის ვირუსი. იგი არ არის ახალი, ცირკულირებს 2011 წლიდან სხვა ტიპის ვირუსებთან ერთად. ჯანმრთელ კონტინგენტში ისეთ შედეგებს ვერ აღწევს, მაგრამ ქრონიკული ან თანმხლები დაავადებებით იგი რთულდება. ის პაციენტები, "ჯეოჰოსპიტალსში" ორმხრივი პნევმონიით არიან შეყვანილები და ამიტომ არის მძიმე მდგომარეობა. შპს "ჯეოჰოსპიტალსს" სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის დირექტორმა ლუარა კახიანმა საუბრის დაწყებამდე დააფიქსირა, რომ სამტრედიაში ქალაქის ტერიტორიაზე "ღორის გრიპის" ვირუსის გავრცელების კუთხით არავითარი საშიშროება არ არის.

"მას შემდეგ, რაც ამ საკითხზე დაიწყო საუბარი და ტელევიზიით განცხადებები გაკეთდა, მომართვიანობამ ნამდვილად იმატა, მაგრამ პანიკის არავითარი საბაბი არ არსებობს. ვირუსის გართულების არც ერთი შემთხვევა დაფიქსირებული არ არის. მაშინ, როცა ამგვარი დაავადებების გავრცელების საშიშროებაა, უპირველესად მისგან სამედიცინო პერსონალი უნდა იქნეს დაცული. ამიტომ, ყოველწლიურად საკმაოდ ძვირადღირებული ვაქცინით, რომელსაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური გვაწვდის, ხდება სამედიცინო პერსონალის აცრა. გრიპის კლინიკური გამოვლინება არ არის საგანგაშო, მაგრამ არის საყურადღებო. ვიმეორებ, რომ მოსახლეობა ნუ შეშინდება, თუმცა იყოს ფრთხილად და საჭიროების შემთხვევაში მიმართოს ოჯახის ექიმს ან სხვა სამედიცინო დაწესებულებას."

კოლეგების აზრს იზიარებს შპს "პედიატრის" დირექტორი ვახტანგ დუნდუა: "ზამთრის თვეებში, დეკემბერ, იანვარ, თებერვალში ყოველთვის იმატებს ვირუსული დაავადებები. სხვათა შორის, იწყება აღმოსავლეთ საქართველოდან და მერე გადმოინაცვლებს ხოლმე დასავლეთში. ახლა ყველა ვირუსი აყვანილია HINI-ის რანგში. საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე. რეკომენდაციები იქნება ხელების ხშირი დაბანა, ოთახის განიავება _ ეს როგორც წესი. არ გვაწყენს პირბადით სიარული, მაგრამ ერთიცაა, დილიდან საღამომდე, ან მეტი ხნით არც ერთი პირბადე არ იცავს ადამიანს, ის ყოველ სამ საათში ერთხელ უნდა ვიცვალოთ."

სიურპრიზი ზამთრისგან არც უამინდობა იქნება და არც ამინდი. საკუთარი ჯანმრთელობის დაცვაზე უპირველესად თავად ვიზრუნოთ, მით უმეტეს, რომ ჯანდაცვის სამინისტრო განსაკუთრებულ პირობებს უქმნის მის დაქვემდებარებულ ობიექტებს პაციენტთა მომსახურებისთვის. საჭიროების შემთხვევაში უშუალოდ ჯანდაცვის მინისტრის ავტომობილიც კი სრულ მზადყოფნაშია. მთავარი ყურადღება და სიფრთხილეა, თორემ, მართლაც, მერე რა, რომ ზამთარია!

## ძირითადი გზავნილები მოსახლეობას

**გრიპის შემთხვევათა მატების ეტაპზე მნიშვნელოვანია:**

**განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ ორსულებმა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებმა _ მოერიდეთ მასიური თავშეყრის ადგილებს! გრიპის სიმპტომების გამოჩენისთანავე მიმართეთ ექიმს!**

**დაავადებულთა თვითიზოლაცია: თუ გაქვთ მაღალი ტემპერატურა, თავის, კუნთების, სახსრებისა და ყელის ტკივილით, დარჩით სახლში, მოერიდეთ ჯანმრთელ ადამიანებთან კონტაქტს;**

**მიიღეთ სიმპტომური მკურნალობა _ სიცხის დამწევები (გარდა ასპირინისა), ტკივილგამაყუჩებლები და ა. შ.**

**იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა ისეთი სიმპტომები, როგორიცაა _ სუნთქვის გართულება, ქოშინი, ცხვირტუჩის მიდამოს ციანოზი, მოვარდისფრო სისხლიანი ნახველი, ლეთარგია, ჩვილ ბავშვებში _ ძუძუს წოვის შეუძლებლობა, გაუწყლოება, ყიფლიბანდის დაძაბულობა _ სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს! შესაძლოა თქვენ გესაჭიროებოდეთ ჰოსპიტალიზაცია და სპეციფიური მკურნალობა!**

**სეზონური გრიპის მკურნალობა არ საჭიროებს ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურებას.**

# ჩვენ მივიღებთ ნამდვილ თვითმმართველობას

ნინო ნანიტაშვილი

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ორგანიზებით მიმდინარე წლის 21-24 იანვარს, ბათუმში საქართველოს საკრებულოს წევრთა კონგრესი გაიმართა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ავტორიტეტული ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს ბიუროს შეფი, ქალბატონი ანდრეა ქერბსი. კონგრესში მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი ხედვა და პოზიციები დააფიქსირეს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ამაშუკელმა, პარლამენტის წევრმა, ზაქარია ქუცნაშვილმა, გარემოს ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, თამარ ბაგრატიამ, ეკონომიკის სამინისტროს ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ეკატერინე სისაურმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, მარიამ გელაშვილმა, ამერიკის მერების ასოციაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ვილიამ ალტჰაუსმა.

საკრებულოს წევრთა კონგრესში მონაწილეობა მიიღო 100 საკრებულოს წევრებმა, რომლებიც თავიანთი მუნიციპალიტეტების საკრებულოების სხვადასხვა პარტიებიდან იყვნენ წარმოდგენილნი.

კონგრესის ფარგლებში მოხდა საკრებულოს წევრების ოთხ ჯგუფში გადანაწილება, რომლებმაც თავიანთ მოდერატორებთან ერთად დაიწყეს მათთვის განკუთვნილ თემებზე მუშაობა, კერძოდ, მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმების ამოქმედებისთვის საკითხებისა და თემების შერჩევა და ქმედითი მექანიზ-



მების შემუშავება, მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობა _ ინტერმუნიციპალური პროექტების შემუშავება.

საკრებულოს როლი მუნიციპალური და რეგიონული საფინანსო ეკონომიკური დოკუმენტების შემუშავების პროცესში სამოქმედო გეგმის შემუშავება. საკრებულოს მუშაობის ეფექტურობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ცვლილებების განსაზღვრა და მათი დასაბუთება.

საქართველოს საკრებულოს წევრთა ყრილობის მუშაობაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან იმედა გოგავა, შალვა არზუმანიანი და ავთანდილ თადუმაძე მონაწილეობდნენ.

"სამტრედიის მაცნე" ყრილობიდან დაბრუნებულ იმედა გოგავას დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა: "საერთო ჯამში, თვითმმართველობის კოდექსში გათვალისწინებულია 126 ცვლილება, რომელსაც პარლამენტმა გაზაფხულზე უკვე უნდა უყაროს კენჭი და დამტკიცების შემთხვევაში აბსოლუტურად იცვლება თვითმმართველი ორგანოების როგორც არჩევის ფორმა, ასევე მათი როლი და მნიშვნელობა, თუნდაც, ყველაზე პატარა დასახლებული პუნქტისთვის. აღნიშნული რეფორმის წყალობით ჩვენ მივიღებთ ნამდვილ თვითმმართველობას, რომელიც იქნება მაქსიმალურად დამოუკიდებელი სახელისუფლებო ვერტიკალისაგან, ექნება თავისი ფინანსური წყაროები და ექნება მისი ხარჯვის ავტონომიურობა, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რადიკალურად იცვლება დღემდე არსებული მუნიციპალიტეტეტების მოწყობა, საზღვრები და პრიორიტეტები დღევანდელი მონაცემებით ევროპის მასშტაბით, საქართველოში არის ყველაზე მსხვილი მუნიციპალიტეტები, საშუალოდ ევროპაში 3-5 ათას მოქალაქეზე არის ერთი თვითმმართველობა, მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში ეს არის 60-65 ათას მოქალაქეზე, ეს კი ნიშნავს იმას, რომ თვითმმართველობები რეალურად და ხარისხიანად ვერ ახორციელებენ საკუთარ უფლებამოსილებებს, მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობაც პრაქტიკულად ვერ ერევა თვითმმართველობებში. ისინი ამ პროცესებიდან, ნებსით თუ უნებლიედ, გაუცხოებულნი და გარიყულნი არიან, რაც ნეგატიურად აისახება კიდეც რეგიონების განვითარებაზე. მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ყველა ეს რეფორმა სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის, რეგიონების კიდევ უფრო განვითარებისთვის, რეგიონებში ბიზნესის და რეალური კეთილდღეობის ჩამოტანისთვის ადგილზე კვალიფიციური კადრების დამაგრებისთვის ახალგაზრდების როლის და ფუნქციის გაზრდისთვის. მოგეხსენებათ, რომ მე გახლავართ თვითმმართვლობის რეფორმის ჯგუფის წევრი და ყველა ამ საკითხზე გავლილი გვაქვს ძალიან მძიმე, დეტალური და კონკრეტული სამუშაოები როგორც ევროსაბჭოში, ასევე ვენეციის კომისიის წევრებთან. ცვლილებები ემსახურება ჩვენი ქვეყნის და აქ მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქის კეთილდღეობას, მათ ინტეგრაციას ადგილობრივ თვითმმართველობებში და რაც ასევე პრიორიტეტულია, რეფორმა ორიენტირებულია რეგიონის სწრაფ განვითარებაზე და მათ რეალურ დამოუკიდებლობაზე.



აქვე მინდა, განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნო, რომ საქართველოს საკრებულოს წევრთა აღნიშნულ ყრილობაზე თავიანთი კომპეტენტური მოსაზრებები და შეხედულებები გამოთქვეს ჩვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, ბატონებმა შალვა არზუმანიანმა და ავთანდილ თადუმაძემ. ასე რომ, სამტრედიის საკრებულოს წარმომადგენლებმა თავიანთი წვლილი შევიტანეთ აღნიშნული ფორუმის წარმატებულ მუშობაში, რაც, იმედი მაქვს, რომ აისახება კიდეც თვითმმართველობის კანონში".

# სამტრედიელი "კონსერვატორები" ყრილობისთვის ემზადებიან

ნინო ნანიტაშვილი

***26 იანვარს "კონსერვატიული პარტიის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია გაიმართა.***

***კონფერენციის მიზანი იყო "კონსერვატიული პარტიის" რიგგარეშე მე-6 ყრილობისათვის დელეგატების არჩევა.***

***შეხვედრას 50-მდე "კონსერვატორი" ესწრებოდა. ჩატარდა კრება, რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ზაზა კაჭახიძემ, კოალიციაში ყოფნის პერიოდიდან დღემდე გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში ჩააბარა.***

მან "კონსერვატიული პარტიის" მიერ განხორციელებული აქტივობები გააცნო იქ დამსწრე საზოგადოებას. ითქვა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე გამწვანების აქცია სამჯერ ჩატარდა კობა ძიძიგურისა და რაჟდენ ტორონჯაძის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით. დაახლოებით 600 ნერგი ყოფილი ხის დამმუშავებელი კომბინატის ტერიტორიაზე, ლაშა თევზაძის ქუჩის დასაწყისში, რუსთაველის ძეგლთან, ნახალოვკაში სკვერის ტერიტორიაზე, დაირგო, შეიღობა ტერიტორიები ხის



დამმუშავებელი კომბინატის ბინებთან, ლაშა თევზაძის ქუჩის დასაწყისში, საავტომობილო ხიდის მიმდებარედ.

გამომსვლელის მოხსენებაში აღინიშნა ახალგაზრდული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული პოეზიის საღამოს შესახებ. ახალგაზრდებთან ერთად "კონსერვატიული პარტია" იმყოფებოდა ქალაქის №15 საჯარო სკოლაში, იქაურ მოსწავლეებთან ერთობლივი კონცერტი ჩატარდა. მე-15 სკოლელები პარტიის დაფინანსებით პრომეთეს მღვიმეში იმყოფებოდნენ

სამტრედიელი "კონსერვატორების" ეგიდით ჩატარდა კონკურსი "რა? სად? როდის?" ახალგაზრდა პარტიული მოაზროვნეების" სახელწოდებით, რომელშიც ქალაქის მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდები მონაწილეობდნენ.

26 იანვრის კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა "კონსერვატიული პარტიის" იმერეთის რეგიონის თავმჯდომარე. კობა ძიძიგურმა ისაუბრა 10 თებერვალს მოსალოდნელი ყრილობის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას სამტრედიიდან 35 დელეგატი მიიღებს. კობა ძიძიგურმა იქვე აღნიშნა, რომ ყრილობას დაესწრებიან "ევროპელ კონსერვატორრეფორმატორთა ალიანსის" თავმჯდომარე იან ზარადილი, ვიცე-თავმჯდომარე ანა ფოტიკა, ამავე ალიანსის აღმასრულებელი მდივანი, ბრიტანელი რიჩარდ მილსონი.

მოგვიანებით დასახელდნენ დელეგატები. კრებამ კენჭი უყარა და დაამტკიცა ყრილობის დელეგატთა სია. ესენია: კობა ძიძიგური, ზაზა კაჭახიძე, რაჟდენ ტორონჯაძე, ლევან ახობაძე, ზაალ სტურუა, ჭიჭიკო გეფერიძე, მერაბ კოხრეიძე, თამაზ ნიკოლეიშვილი, ანდრო ლეჟავა, კობა ბიბილეიშვილი, თამაზ დუნდუა, ირმა შველიძე, ედუარდ ახობაძე, ოლეგ კვანტალიანი, სერაპიონ ჭკუასელი, მამუკა ჟვანია, ზურაბ ჯინჭველეიშვილი, ედიშერ ხუჭუა, ქეთი აბრამიშვილი, მამუკა ჩიხლაძე, ირმა მუქერია, მაკა მაჩიტიძე, ინგა სალდაძე, ამირან ხუჭუა, თამარ ხუჭუა, ზურაბ გერაძე, სერაპიონ გოგიშვილი, ნათია მუქერია, გოჩა გეგუჩაძე, სერგო ბურკაძე, ირაკლი ბუთეიშვილი, ოლეგ გიორგაძე, ლერი მანაგაძე, ალმასხან შენგელია, სოსო მაჭარაძე.



ახალგაზრდულმა ფრთამ სამი ახალგაზრდის დამატების სურვილი გამოთქვა. გურამ კურეტიშვილი, სალომე ტიტარენკო და ბაჩუკი ნადირაძე ყრილობის დელეგატთა სიაში შეიყვანეს.

# ყოველი დღე გვაახლოებს საპარლამენტო არჩევნებთან

ლევან გაბეჩავა

***პოლონეთში _ სეიმი, ისრაელში _ ქნესეთი, მონღოლეთში _ დიდი სახალხო ხურალი, თურქეთში _ მეჯლისი, უკრაინაში _ რადა, რუსეთში _ დუმა, აზერბაიჯანში _ მილი მეჯლისი, საქართველოში _ პარლამენტი... უმაღლესი კანონშემოქმედებითი, წარმომადგენლობითი ორგანოებია, რომელთა შემადგენლობა დიდად განსაზღვრავს კონკრეტული სახელმწიფოს, ხალხის ბედს.***

***მიმდინარე წელს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს და ბუნებრივია, არა მარტო პოლიტიკოსები, ანალიტიკოსები და ექსპერტები, არამედ, უბრალო ადამიანებიც საკუთარ აზრს გამოთქვამენ იმის თაობაზე, თუ რას ელიან, როგორ წარმოუდგენიათ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველო, ერთი სიტყვით, რას მოგვიტანს არჩევნები, ბოლოს და ბოლოს გაბრწყინდება თუ არა იბერია და ა. შ.***

ვინ რა გააკეთა, ვინ მოგვატყუა და ვინ არა, ვინ ბევრი ეცადა ჩვენთვის და შედეგი მიიღო მისთვის, უკვე ნათელია და ამ თემაზე საუბარი წყლის ნაყვა, ცერცვის შეყრაა კედელზე, მაგრამ იმას კი ნამდვილად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, თითოეული ამომრჩევლისათვის, ნებისმიერი მოქალაქისათვის, თუ რა კატეგორია იქნება წარმოდგენილი ახალ პარლამენტში, ე. ი. ვის ვანდობთ მომდევნო 4 წლის მანძილზე ქვეყნისა და საკუთარ ბედს.

ქვეყანაში, სადაც ასჯერ და უფრო მეტად ჩემზე კომპეტენტურებს არავინ უსმენს, კარგად ვიცი, ჩემი აზრი არავის რომ არ აინტერესებს, მაგრამ სალერღელი ამეშალა და გავკადნიერდი, რამდენიმე სიტყვა ვთქვა კარს მომდგარი ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენის ირგვლივ.

ვიდრე ძირითად სათქმელთან მივალთ, დიდი დაკვირვება არაა საჭირო იმისთვის შევამჩნიოთ ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ამჟამად მოქმედ პარლამენტართაგან ბევრი და არა ცოტანი, პირველ ხანებში გაცილებით აქტიურები იყვნენ, ვიდრე მომდევნო წლებში.

და რატომ?

იმიტომ, რომ მათ, იქედან, პარლამენტიდან ჩვენზე უკეთ შეამჩნიეს, ჩვენზე ადრე დაინახეს, რომ სიტყვა და საქმე, დანაპირები და რეალობა ძალზე დასცილდა ერთმანეთს.

სახეზე რომ ვერ ვცნობდეთ და ხმა რომ არ გვესმოდეს, ხშირად, როცა პარლამენტის წინაშე მაღალჩინოსნები ანგარიშით გამოდიან, ვიფიქრებდით, რომ ისინი იმ საქართველოს სახელმწიფო მოხელეები კი არ არიან, სადაც ხალხი სულს ღაფავს, არამედ კანადისა და სხვა სახელმწიფოებისა, ცხოვრება რომ დუღს და დოვლათს დოვლათი რომ ემატება.

**და მაინც, რა პროფესიის ადამიანებით უნდა დაკომპლექტდეს მომავალი პარლამენტი?**



პირველ ყოვლისა, კვალიფიციური ეკონომისტებით, ფინანსისტებით, რამდენადმე მაინც რომ უშველონ წელში კარგა ხანია გადატეხილ ქვეყნის ეკონომიკას.

ასევე კვალიფიციური, გამოცდილი იურისტებით, სამართალმცოდნეებით, რათა სახელმწიფოს ინტერესების, ტრადიციების გათვალისწინებით (რა თქმა უნდა, საერთაშორისო კანონმდებლობასთან თანხვედრით) შეიმუშაონ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტები და არა დილეტანტებითა და ახალბედა მსუყეჯიბიანი მამიკოს უბიდან ახლად ამოფრენილი იურისტებით, რომლებიც კიბეზე ადიან და მერე ეძებენ ხეს, კედელს, თუ სად მიაყრდნონ კიბე, რომელზედაც სხედან.

აუცილებელია პარლამენტში კვალიფიციური ისტორიკოსები, ფილოსოფოს-ფსიქოლოგები, სოციოლოგები ვიხილოთ, რათა პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან არ ''დავტკბეთ'' ფუყე ფრაზებით, რეალობას აცდენილი პოლიტიკოსების ''მარიაჟობით'' და ა. შ.

პოლიტოლოგ-კონფლიქტოლოგები აუცილებელია (ჩვენის აზრით), ნებისმიერი ქვეყნის, სახელმწიფოს წარმომადგენლობით ორგანოებში იყვნენ წარმოდგენილები, არა თუ საქართველოში, სადაც ტერიტორიის 20% ისევ და ისევ ოკუპირებულია, სადაც საზღვრისპირა სოფლებიდან ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება, სადაც ეროვნული ვალუტა დღითიდღე უფასურდება, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უმუშევარია.

სადაც...

**მიგვაჩნია თუ არა დანაშაულად სპორტსმენების, რეჟისორების, მსახიობების პარლამენტში ყოფნა?**

დანაშაულად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ, თუ ყოფილი სპორტსმენი, რომელსაც, მეტი თუ არა, ჯანსაღი პოლიტიკური აზროვნების, განსჯის შესაძლებლობა აქვს, პარლამენტში ვიხილოთ, მაგრამ ის, რომ პარლამენტი სპორტულ არენად, რინგად, გნებავთ, თეატრალურ დასად, მწერალთა კავშირად... იქცეს, ეს არ უნდა იყოს მომგებიანი ქვეყნისათვის.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ უდიდეს პატივს ვცემთ სპორტულ სარბიელზე _ სპორტსმენთა, თეატრსა და კინოში _ რეჟისორთა, მსახიობთა, სამწერლო ასპარეზზე _ მწერალთა მოღვაწეობას.

რაც შეეხება იმ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს, მათზე მუშაობისას, ყოველმხრივ საკმარისი იქნება, დარგობრივ საპარლამენტო კომიტეტებში ცალკეული სფეროებიდან სპეციალისტების ხელშეკრულებით მიწვევა.

არ ვიცით, რისი ბრალია, ქართველების მაქსიმალისტობის, თუ ზედმეტი, ცუდად გაგებული დემოკრატიის, მაგრამ ერთი საკითხი აუცილებლად, უნდა იქნას გათვალისწინებული, პარლამენტში ასარჩევი ადამიანები, მომავალი პარლამენტარები ყველა შემთხვევაში უნდა იყვნენ სუფთა, შეუბღალავი წარსულის მქონენი, გამოცდილები, ქვეყნის, ხალხის მოყვარულნი, მათ მოღვაწეობაში უნდა ჩანდეს, რომ რაც შეუძლიათ აკეთებენ, რომ ძალა არაა თავს ზემოთ, რათა უფლებამოსილების გასვლის შემდეგ ამაყად, გულწრფელად თქვან:

ჩვენ რაც შევძელით გავაკეთეთო!

ნამდვილად იმსახურებს საქართველო ამას!

ნამდვილად ვიმსახურებთ ქართველები ამას!

...უძველესი სახელმწიფოებრიობის მქონე ერი ვართ და არც ევროპისაგან, არც ამერიკისაგან, არც... არავისგან გვესწავლება საპარლამენტო საქმიანობა, ქვეყნის, სახელმწიფოს მართვა, რჩევა კი, რჩევა ბევრს შეგვიძლია მივცეთ ქართველებმა.

მაშ, ღირსეულნი პარლამენტში!

# ბენეფიციარს ტენდერი არ აინტერესებს, ბენეფიციარს შია!



თეა ბაბუნაშვილი

***უკეთესი ნამდვილად იქნებოდა, ასეთი დაწესებულებები საერთოდ არ არსებობდეს, იმიტომ, რომ არ სჭირდებოდეს ქვეყანას! იმედია, ეს სიტყვები არავის გააბრაზებს, მით უმეტეს, რომ ''სახლ თანადგომაში'' სტუმრობისას, ეს აზრი არაერთს გაუჩნდა.***

***რაც არ უნდა დავიიმედოთ თავი, რომ აქაურ ბენეფიციარებს რთული ცხოვრების გაძლოლაში ცოტათი მაინც ვაშველებთ ხელს, მათი ყოფა რთულია! მაინც ცივია მათთვის ის კედლები, რომელთაც, ეჭვგარეშეა, დიდი მონდომებით ათბობს ყველა ის ადამიანი, ვინც აქ მუშაობს. არ გაგვიკვირდეს, რომ მწარეც იყოს ის ლუკმა, ძალიან რომ უტკბობენ. აქ დახვედრებული თბილი სადილის უკან შელახული თავმოყვარეობა, წყალშიჩაყრილი, შრომაში გატარებული ცხოვრების არაერთი წელი და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი ტკივილი იმალება. არა აქვს მნიშვნელობა, ლარი და თვრამეტი თეთრი დაიხარჯება მათთვის, თუ ორ-სამჯერ მეტი, მთავარია, ამგვარი დაწესებულებები არ სჭირდებოდეს ქვეყანას!***

ამ ტკივილზე არა როგორც ჟურნალისტს, არამედ როგორც ადამიანს აუცილებლად უნდა მეთქვა. და კიდევ იმაზეც, ცხოვრების სიურპრიზებისგან დაზღვეული რომ არავინ არის. ერთ დროს თანამდებობით გალაღებული არაერთი ადამიანი, დღეს აქაურობის ბენეფიციარია. ეს კი ყველაფერს ერთად, ალბათ, ცხოვრების მუხანათობას, ქვეყნის სატკივარს და უფლისგან გაფრთხილებასაც ნიშნავს! ახალი ვერაფერი გითხარით და მოკლედ სათქმელიც დავაგრძელე. თუმცა, ერთი, ბევრ სხვასთან ერთად, დაფიქრებად მაინც ღირს _ სოციალურად დაუცველთა სასადილოში ერთი ადამიანი სადილობს, იგი ვეტერანი ფეხბურთელია! ეს განსაკუთრებით მემწარა, ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის დაფინანსებაში, თუნდაც, ნაკლებად ჩახედულს!



პირველ რიგში, ბოდიში მკითხველს, თუ თანამედროვე ჟურნალისტიკის წესი დავარღვიე და საკუთარი აზრი თავს მოვახვიე. იმან გამათამამა, რომ ამგვარ შემთხვევებში მათი მხარდაჭერა არაერთხელ მქონია.

იმ დღეს კი, საახალწლო საჩუქრები თავად გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ და მისმა მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა, კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ გადასცეს სოციალურად დაუცველებს. მათი პრობლემები მოისმინეს, გადაწყვეტაში დახმარებას დაჰპირდნენ. ადგილზე სიტუაციაში გაერკვნენ და საჭიროების შემთხვევაში დახმარება შესთავაზეს ''სახლი თანადგომას'' ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს.

სადილი იმ დღესაც გემრიელი იყო. მოსადილეები ასე ამბობდნენ. არც რაოდენობას და სისუფთავეს უჩიოდნენ და არც მათდამი დამოკიდებულებას.

''საახალწლოდ, ტენდერის გამო, სასადილო არ მუშაობდა. მოგეხსენებათ, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ბიუჯეტის დამტკიცებამდე ტენდერი ვერ ცხადდება, ტენდერის ჩატარებამდე კი არ გვაქვს სასადილოს გახსნის უფლება. წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა იგივე დაგვრჩა, რაც წინა წელს გვქონდა, 174 ათასი ლარი. პრობლემა იყო ის, რომ წინა წლიდან ახალ საბიუჯეტო წელს ვალი გადმოგვყვა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ხაზინას არ უმუშავნია წლის ბოლოს. ჩვენი კუთვნილი თანხა ვერ მივიღეთ და ვალი ამიტომ დაგვრჩა. ამის გამო შეიძლებოდა დავეჯარიმებინეთ კიდეც, მაგრამ ტენდერში იგივე ინდმეწარმემ გაიმარჯვა და პრობლემა მოიხსნა, პროდუქტი ისევ შემოიტანა. ბენეფიციარს ტენდერი არ აინტერესებს, ბენეფიციარს შია!'' _ აღნიშნა ''სახლი თანადგომას'' დირექტორმა, მზევინარ ბოხუამ. გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით იქვე დასძინა, რომ ხაზინამ ხარვეზი უკვე გაასწორა და არავითარი დავალიანება აღარ არსებობს.

450 ბენეფიციარიდან ადგილზე 135 სადილობს. დანარჩენი კვირაში ერთხელ პურს ღებულობს.

საჩუქრები დაურიგდათ. ვალერი ფოცხვერიამ იგი პირადად გადასცა ადამიანს, რომელთანაც ერთადაც ბავშვობაში ფეხბურთს თამაშობდა. გარდა ამისა, ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას დაჰპირდა. თან აღნიშნა: ''სახელმწიფო შესაძლებლობის ფარგლებში დგამს ნაბიჯებს თქვენს დასახმარებლად. ეს საკმარისი რომ არ არის, ვიცით, მაგრამ არაფრის მოგერიდოთ, შეგვაწუხეთ თუ დაგჭირდით. თუმცა, ვიმედოვნებთ, ყურადღება არც უჩვენოდ მოგაკლდებათ. საახალწლო საჩუქრები იქნებ დაგვიგვიანდა, მაგრამ ჯერ ისევ საახალწლო განწყობაა.''

დამშვიდობებაც გულთბილი იყო. ის დღე კიდევ უფრო რომ გაელამაზებიათ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან მერი ტკვაცირიას მოსწავლეებმა რამდენიმე სიმღერა შეასრულეს მათთვის.

იქედან წამოსვლის შემდეგ საუბარი ისევ იმაზე გაგრძელდა, რომ კარგი იქნებოდა, ასეთი დახმარება საერთოდ არ სჭირდებოდეთ ადამიანებს!



8 თებერვალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა!

# მეფე ქართველთა, აფხაზთა, რანთა...

ლევან გაბეჩავა



ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოის ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...
ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევები?
ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი ''ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე''...

*ანა კალანდაძე*

მადლიერ ქართველ ერს არავისთვის უწოდებია ესოდენ უმშვენიერესი ზედწოდება _ აღმაშენებელი.

სრულიად, ყოველმხრივ მიესადაგება იგი ერთიანი საქართველოს ძლევამოსიულ მეფე დავით IV.

1101-1103 წლებში ქართლ-კახეთის საქართველოსთვის შემოერთება, რითაც, ფაქტობრივად, დასრულდა ქართული მიწა-წყლის გაერთიანების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, 1122 წელს საქართველოს სამეფოს დედაქალაქის ქუთაისიდან თბილისში გადატანა, რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რეგულარული მხედრობის (ჯარი) შექმნა, სარწყავი სისტემების, ქალაქების, სოფლების, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა... დავით აღმაშენებლის ხანგრძლივი მეფური მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპებია.

მტრის მიმართ დაუნდობელი მეფე საოცრად ჰუმანური იყო საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა მიმართ.

მთელი რიგი შეღავათები დაუწესა, მისცა პირობა სარწმუნოების ხელუხლებლობისა მათ მეფემ და აღასრულა კიდეც.

უდიდესი ტოლერანტრი იყო აღმაშენებელი, მეფე ქართველთა, აფხაზთა, რანთა...

''დავით აღმაშენებლის იმპერიაში იმდენი ენა ჰყიოდა, რამდენიც ტომთესლი იყო, მაგრამ საერთო სახელმწიფოებრივი ენა ''ნიკოფსიიდან დარუბანდამდის'' იყო ქართული ენა.

ქართული ენა საქართველოში უნდა სცოდნოდა ყველას _ ქართველსაც და არაქართველსაც.

ეს პატივიც იყო, საჭიროებაც, სინდისიც და მოვალეობაც''. _ წერდა **ლევან სანიკიძე.**

**არსენ იყალთოელმა** დავითის ეპიტაფიაში სრულად აღწერა ერთიანი საქართველოს აღმაშენებლის 36 წლიანი უებრო მოღვაწეობა, საუკუნეთა ქარტეხილების შემდეგ მეტი დატვირთვა რომ შეიძინა.

ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არბნი საზღვარსა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამასთა მოქმედსა ხელნი გულზედა დამესხნეს.

8 თებერვალს საქართველოში დავით აღმაშენებლის სხსნების დღეს აღნიშნავენ, თუმცა, არის კი დღე, როცა ქართველი კაცი არ იხსნებს მეფეს, ''რომლისაცა წინაშე მუხლი ყოველი მოდრკების''.

ამ დღეებში ერთ-ერთი ავტორიტეტული გამოცემის მიერ, დავით აღმაშენებელი მსოფლიოში საუკეთესო მხედართმთავრების ხუთეულში მოხვდა.

შესაბამის ნუსხაში აღმაშენებელი მესამეა. სიას სათავეში ალექსანდრე მაკედონელი უდგას, მეორე ადგილზეა თრან ჰუნგ დაო. აღმაშენებლის მომდევნო პოზიციებს კი ნაპოლეონ ბონაპარტი, იულიუს კეისარი იკავებენ.

## სიცოცხლე დღესასწაულად რომ იქცეს



27 იანვარი, ისევ შეიკრიბა აუდიტორია მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, აქ უკვე ტრადიციად იქცა ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს ბიბლიის გაკვეთილის ჩატარება.

თემა _ უკვდავება...

ჩვეული სიდინჯით, არგუმენტირებული მსჯელობით, რომელიც ცნობილი ქართველი და უცხოელი განმანათლებლების ნააზრევით იყო გაჯერებული, თემის ირგვლივ ისაუბრა წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარმა, დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე) და ამომწურავად გასცა პასუხი დაინტერესებულთა კითხვებს.

სიცოცხლე დღესასწაულად გექციოთ!

სიცოცხლე ჩირაღდანია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა! _ დამოძღვრა მამა ანტონმა დარბაზი და მომავალ შეხვედრამდე დაგვემშვიდობა.

*ლევან გაბეჩავა*

# დავით ჯოჯუა _ ქვეყნის საუკეთესო მოჭადრაკე

საერთაშორისო დიდოსტატ დავით ჯოჯუას გამარჯვებით დასრულდა ჭადრაკის სასახლეში გამართული ტაი-ბრეიქები საქართველოს ჩემპიონის ტიტულისთვის. ორი 15 წუთიანი პარტიისგან შემდგარი მატჩი ჯოჯუასა და თორნიკე სანიკიძეს შორის ანგარიშით 2:0 დასრულდა ჩემპიონის სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ჯოჯუამ პირველად მოიპოვა ქვეყნის საუკეთესო მოჭადრაკის ტიტული. ხოლო მეორე ადგილის მფლობელი თორნიკე სანიკიძე გახდა.

მესამე ადგილზე ლელა ჯავახიშვილის დამარცხების შემდეგ მერაბ ბაბუნაშვილი გავიდა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ I ადგილი _ 6000 ლარი, პლუს ფედერაციის გრანტი 1500. II ადგილი _ 4500 ლარი, პლუს ფედერაციის გრანტი 1000 ლარი. III ადგილი _ 3500 ლარი, პლუს ფედერაციის გრანტი 500 ლარი. IV ადგილი _ 2500 ლარი. ამასთანავე, I ადგილზე გასული მოჭადრაკე დასახელდება საქართველოს ვაჟთა ნაკრების წევრობის კანდიდატად.

I-III ადგილებზე გასული მოჭადრაკეები დაფინანსდებიან 2016 წლის ევროპის ვაჟთა ჩემპიონატზე.

დავით ჯოჯუა და თორნიკე სანიკიძე წარმოშობით სამტრედიელები არიან. ამდენად, მათი პირველი და მეორე ადგილი ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა. დავით ჯოჯუას ყველა იცნობს, რაც შეეხება თორნიკე სანიკიძეს, იგი მოჭადრაკე სოფიკო ტერელაძის სიძე და მოჭადრაკე მარი თევზაძის მეუღლეა.

*ნინო ნანიტაშვილი*





# ღია წერილი ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას!

## გამგებელმა დუმილი დაარღვია

უპირველეს ყოვლისა, მადლობა გვინდა მოვახსენოთ გაზეთის მთავარ რედაქტორს, ქალბატონ ქეთევან ჭელიძეს იმისათვის, რომ კითხვები დასვა და გამგებელმა თავისი მოსაზრება გამოთქვა. გასაოცარია, მას თურმე ჩვენი განაწყენება არ სურდა, ნუთუ ამისთვის დუმდა სამი წლის მანძილზე. არადა ნათქვამია, მოყვარეს პირში უძრახეო. ბატონო ვალერი, ჩვენს წყენას ნუ მოერიდებით, ოღონდაც სამტრედიისთვის სასიკეთო საქმე გაკეთდეს.

თქვენ ინტერვიუში, რომელიც ''სამტრედიის მაცნეს'' №36-ში გამოქვეყნდა, აღნიშნავთ, რომ წერილები წაიკითხეთ და მასში პარტიული ხედვა ამოიკითხეთ, და რომ ახლა სულ სხვა რეგულაციებია.

ვფიქრობთ, მთლად ისე არ უნდა იყოს, როგორც თქვენ გესახებათ. გაზეთში ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ წერილებში საუბარია ძირითადად სამეურნეო საკითხებზე და ვეცდებით, ისინი მოკლედ განვმარტოთ: იმაზე ვთანხმდებით, რომ სამტრედიის საკანალიზაციო სისტემა ავარიულ მდგომარეობაშია და რომ ეს ასეა, თქვენც აღიარებთ და სამტრედია ''ბომბზე'' ზის. არადა, უნდა ითქვას, თავის დროზე გამართულად მუშაობდა. გამართლება, რომ მისი რეაბილიტაცია დღემდე ვერავინ მოახერხა და ამით დამშვიდება, ცოტა არ იყოს უხერხულია. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჩვენმა მეზობლებმა და თქვენმა კოლეგებმა ქუთაისსა და ზუგდიდში მოახერხეს და ამისთვის მთავრობამ საჭირო თანხებით დააფინანსა. ამბობთ, რომ მსოფლიო ბანკის დახმარებით ასფალტი დაიგო, ხომ არ ჯობდა, ჯერ კანალიზაცია მოწესრიგებულიყო. რაც შეეხება სამტრედიას და რკინიგზას, ეს ჯერ კიდევ კომუნისტების გამოჩენამდე, გაცილებით ადრე ნიკო ნიკოლაძემ დიდი დრო, ენერგია და ძალისხმევა მოანდომა მის მშენებლობას. დიდ რეფორმატორს საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გაძლიერება მიაჩნდა უპირველეს პრიორიტეტად. ის გამუდმებით ზრუნავდა ქვეყანაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და საზღვარგარეთ გატანის საქმეზე, რკინიგზისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე, დღენიადაგ ფიქრობდა რკინიგზის მიმოსვლის, ჩვენი მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებაზე, სწორედ ამაზეა საუბარი. ნიკო ნიკოლაძე ფოთის მერი რომ იყო (მას აკაკი წერეთელი ''ქალაქის თავს'' უწოდებდა), ნავსადგურის მშენებლობა წამოიწყო, თუმცა საჭირო თანხები არ გააჩნდა, დახმარებისათვის მან მთავრობას მიმართა და მისმა შეუპოვრობამ შედეგი გამოიღო. დიდმა ნიკომ თხოვნით მიმართა მილიონერ როტშილდს და პარიზი გაანათა, ვარაუდობდა რომ ელენერგიის შორ მანძილზე გადატანა მის ქვეყანასაც წაადგებოდა.

გელა ჩარკვიანი იხსენებს, შევარდნაძემ ბუშთან შეხვედრაზე მას უთხრა, თქვენ გრანდიოზული ქვეყნის პრეზიდენტი ხართ, ბევრ შეჭირვებულ ქვეყანას ეხმარებით, ჩვენ პატარა ქვეყნის წარმომადგენლები ვართ და არაფერს გთხოვთ. ბუშს გაეღიმა, ედუარდ, რა გინდა მითხარი და შეგისრულებო. ედუარდმა არ დააყოვნა და საქართველოსთვის ხორბალი სთხოვა. მართლაც ფოთს და ბათუმს ხორბლით სავსე გემები მოადგა.

თქვენ სიამაყით აღნიშნავთ, რომ ახლო, კარგი ურთიერთობა გქონდათ პრემიერ-მინისტრთან, ირაკლი ღარიბაშვილთან. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ეს ურთიერთობა რატომ არ გამოიყენეთ ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ. რატომღაც ჩანს, რომ თხოვნა გეთაკილებათ, ბიძინა ივანიშვილს მივმართოო, ამბობთ. ბატონო ვალერი, ჯერ მთავრობას უნდა მიმართოთ! მთელი საგარეო საქმეთა სამინისტრო, მთავრობა მოწადინებულია, როგორმე ინვესტორი მოიძიონ და საქართველოში მოიწვიონ. ვითომ, გამგებლისათვის მუნიციპალიტეტისთვის საკითხის დასმა საძრახისი რატომ უნდა იყოს.

ინტერვიუში აღნიშნავთ, რომ ბიზნესმა თავად უნდა გაიკვალოს გზა. მსოფლიო კრიზისის პირობებში, როდესაც ბიზნესი მარყუჟში აღმოჩნდა, სწორედ სახელმწიფომ იხსნა ყულფისგან. ბიზნესი სახელმწიფოს საზღვრებში უნდა მოქმედებდეს თავისუფლად. მას თავისი თამაშის წესები აქვს, დაუშვებელია, ქაოსურად ვითარდებოდეს და მოქმედებდეს. შემდგარი დამოუკიდებელი სახელმწიფო საზღვრავს მხარეების, მუნიციპალიტეტების, ქალაქების პრიორიტეტს. შეიძლება, განვიხილოთ ტყიბული ქვანახშირის გარეშე, ჭიათურა მარგანეცის, ზესტაფონი ფეროს, ფოთი პორტის და ა. შ. ძნელად წარმოსადგენია სამტრედია რკინიგზის, სოფლის მეურნეობის გარეშე. საუბარია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, სამუშაო ადგილების მოაზრებასა და შექმნაზე. ამის შესახებაა ჩვენი წერილები.

სახელმწიფო მაშინ არის ძლიერი, როდესაც ოჯახი არის ძლიერი, ოჯახი არის სახელმწიფოს ქვაკუთხედი. ოჯახის სიძლიერე განპირობებულია კაცის დასაქმებით. უფუნქციო ადამიანი დაკნინებულია და ქვეყანას ხეირს არ და ვერ მოუტანს.

ნიკო ნიკოლაძის ვაჟის, გიორგი ნიკოლაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეკავა სპორტს. მიუხედავად ამისა, მან ქვეყნისათვის წინა პლანზე წამოსწია პრაქტიკული საკითხი _ ეროვნული მრეწველობის განვითარება. გიორგი ნიკოლაძემ შეადგინა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობის პროექტის ტექნიკური დასაბუთება. ის სათავეში ჩაუდგა ჭიათურის მანგანუმის მადნებიდან ფერომანგანუმის გამოდნობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებას. 1930 წელს ჩატარებული იქნა ფერომანგანუმის პირველი დნობები. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ძლიერი სახელმწიფოს თანმდევი უნდა იყოს სპორტი და არა პირიქით.

თქვენ ხმამაღლა აცხადებთ, თქვენი იდეაა, სამტრედია აქციოთ სპორტულ ქალაქად და მთავრობიდან ელით გადაწყვეტილებას, ნუთუ შესაძლებელია ეს, ქალაქს, რომელსაც ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელი აქვს და ''ბომბზე'' ზის.

ბატონო ვალერი, ნუთუ ფიქრობთ სამტრედიელებს ჩვენს ქალაქზე გული არ გვტკივა და არ გვაქვს უფლება, აზრი გამოვხატოთ. იდეა ერთპიროვნულად არ უნდა წყდებოდეს, ჩვენც კაცნი ვართ. მართალი გითხრათ, მეტად მწარედ გული გვტკივა სამტრედიის ამჟამინდელი ყოფის გამო.

ძირძველი სამტრედიელები:

***გია ბოჭორიშვილი*** _ *ინჟინერ-ტექნოლოგი,* ***მამუკა ფრანგიშვილი*** _ *ინჟინერ-ქიმიკოსი,* ***რაულ ხუჭუა*** _ *მშენებელი-ინჟინერი,* ***მიხეილ კუპრეიშვილი*** _ *ეკონომისტი,* ***ანტონ გეგეშიძე*** _ *მშენებელი-ინჟინერი,* ***სოსო ახობაძე*** _ *მშენებელი-ინჟინერი,* ***პავლე თავაძე*** _ *ინჟინერ-მექანიკოსი,* ***თემურ ტორონჯაძე*** _ *ინჟინერ-ენერგეტიკოსი,* ***სოსო დუნდუა*** _ *ინჟინერ-ტექნოლოგი,* ***რობერტ ჩარჩუა*** _ *გზების მშენებელი, ინჟინერი,* ***ჯუმბერ თარგამაძე*** _ *მშენებელი-ინჟინერი,* ***ანზორ გოგოლაძე*** _ *მშენებელი-ინჟინერი,* ***ზურაბ ხაჟალია*** _ *ინჟინერ-მექანიკოსი,* ***შოთა რევიშვილი*** _ *მშენებელი-ინჟინერი,* ***ზაურ ლორია*** _ *ინჟინერი-მშენებელი,* ***თამაზ ხუჭუა*** _ *მშენებელი-ინჟინერი, საპატიო რკინიგზელი.*

# "ვეფხისტყაოსნის" ირგვლივ

ყველა ქართველისათვის ფრიად ძვირფასი წიგნის, "ვეფხისტყაოსნის" ხელახალი, მაღალპოლიგრაფიული გამოცემების საქმეში საკმაოდ დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ჩვენს თანამემამულე სამტრედიელებს. აი, რას წერს ჩვენი სასიქადულო მეცნიერი აკაკი შანიძე: "შოთა რუსთაველის პირველი ბეჭდური გამოცემა 1712 წელს გამოვიდა. იგი დაიბეჭდა ვახტანგ მეექვსის მიერ თბილისში დაარსებულ სტამბაში და მხატვრულად გაფორმებული იყო პოემის მდიდრული ხელნაწერების მსგავსად. ამ პირველი გამოცემის ცალებმა, სამწუხაროდ, ჩვენამდის ცოტამ მოაღწია და რაც გადარჩა, ისიც დაზიანებულია. არადა, ეს გამოცემა თავისი მეცნიერული ღირებულებით, ხელნაწერებს ედრება. დაისვა საკითხი, ვახტანგისეული გამოცემა აღდგენილიყო იმ სახით, როგორც იგი დაიბეჭდა 1712 წელს. ეს საქმე მე მომენდო. დავახატვინე ვახტანგისეული მხედრული ასოები, აღვადგინე სასტამბო შრიფტი, ორნამენტები და სასვენი ნიშნები. წიგნი გამოვეცი ორ ფერად, როგორც ეს არის პირველ გამოცემაში. ამ სახით აღდგენილი "ვეფხისტყაოსანი" დაიბეჭდა 1937 წელს. სამწუხაროდ, ტირაჟი მცირე იყო და გამოცემა ერთბაშად ამოიწურა. ვახტანგ მეექვსის სამას წლისთავზე, ზეიმის მომწყობმა კომისიამ გადაწყვიტა კვლავ მისი გამოცემა და მკითხველს ხელთ ეძლევა ვახტანგისეული "ვეფხისტყაოსნის" უცვლელად განმეორებული გამოცემა 1937 წლისა".

სამტრედიელმა ბილალ დინდარ მიქელაძემ, სამსუნის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და პროფესორმა, ქართულიდან თურქულ ენაზე თარგმნა "ვეფხისტყაოსანი", აზერბაიჯანელ პოეტ ზეინელაბადინ მაკასთან ერთად. მან საკუთარი ხარჯებით გამოსცა ხუთიათასიანი ტირაჟით ეს წიგნი ქ. სამსუნში 1991 წელს. წიგნს ახლავს ბილალ დინდარ მიქელაძის წინასიტყვაობა, შესავალი წერილი და სიტყვათა განმარტება. ამ ფაქტის შესახებ ჩვენმა თანამემამულემ, პროფესორმა ამირან ნიკოლეიშვილმა გვამცნო. მას კი თვითონ ბილალ დინდარ მიქელაძემ უსახსოვრა მის მიერ თურქულ ენაზე თარგმნილი "ვეფხისტყაოსანი".

ნიკოლოზ სილოვანის ძე ჯანელიძე, ცხოვრების ურთულესი გზის გავლის შემდეგ, გერმანიაში დამკვიდრდა. დააარსა გამომცემლობა "საქართველო" და ეწეოდა ქართული კულტურის პროპაგანდას. ამ წერილში, რა თქმა უნდა, ვერ ვილაპარაკებთ იმ ღვაწლზე, რაც მას გერმანია-საქართველოს კულტურული ურთიერთობის გაღრმავების საქმეში მიუძღვის, მაგრამ დავძენ, რომ 1984 წელს მან გამოსცა "ვეფხისტყაოსნის" პროზაული თარგმანი გერმანულ ენაზე, რომელიც დამშვენებულია ზიჩისა და თოიძის ილუსტრაციებით. თარგმანი გაუგზავნა რომის პაპს თხოვნით: ილოცონ ქართულ ენაზეც, რაც დღესაც აღესრულება.

გრივერი ფარულავას მეცნიერულ ძიებათა სფერო ძირითადად არის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული ჰაგიოგრაფია, ასევე, "ვეფხისტყაოსნის" "პოეტიკა და სტილი".

უნდა აღინიშნოს ემიგრაციაში მყოფი კიდევ ერთი სამტრედიელი აკაკი პაპავას შესახებ, რომელიც დიდ ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა ემიგრაციაში ქართული პერიოდიკისა და საგამომცემლო საქმიანობის როლს, როგორც ბრძოლის ერთ-ერთ გამოხატულებას.

ბატონი აკაკის ლიტერატურულ-მეცნიერულ შეხედულებებს ავსებს მისი რუსთველოლოგიური ხასიათის წერილები: "ვეფხისტყაოსანი" და მისი ავტორი" და "მადლიანი მჩხრეკელი", რომელიც რუსთაველის 800 წლის იუბილესადმი იყო მიძღვნილი.

ემიგრანტი ლეო ჭეიშვილის ქალიშვილმა, ნინო ჭეიშვილმა შექმნა ესპანურად თარგმნილი "ვეფხისტყაოსნისათვის" ოთხი ილუსტრაცია. ეს წიგნიც ესპანურ ენაზე ქართველი მრეწველის, ავთანდილ მერაბიშვილის დაფინანსებითაა გამოცემული.



სამტრედიელმა თემურ ნუცუბიძემ გამოაქვეყნა შრომა: "მითოსი და სინამდვილე "ვეფხისტყაოსანში". "ვეფხისტყაოსანს" მიუძღვნა თავისი გამოკვლევა გოგი ტონიამ.

ბიბლიოფილ ვალერიანე მეგრელიშვილის ბიბლიოთეკაში, სხვა უნიკალურ გამოცემებთან ერთად, იყო 1712 წელს გამოცემული "ვეფხისტყაოსანი".

ბიბლიოფილ აკაკი ჯამბურიას ბიბლიოთეკაში კი "ვეფხისტყაოსნის" 31 გამოცემაა დაცული.

ამჟამად მუზეუმს გააჩნია "ვეფხისტყაოსნის" 7 გამოცემა. მათ შორის უნიკალურია ქალბატონ ნათელა გელეიშვილის მიერ შემოწირული აკაკისეული, 1937 წელს გადამუშავებული გამოცემა და მის მიერვე შემოწირული "ვეფხისტყაოსანი", რუსულ ენაზე პანტელეიმონ პეტრენკოს და კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ თარგმნილი, რომელსაც თან ახლავს პოემის ყველა მხატვრის შავ-თეთრი ნახატები: უცნობი მხატვრის, მამუკა თავაკარაშვილის, მიხაი ზიჩის, ლადო გუდიაშვილის, სერგო ქობულაძის, თამარ აბაკელიას, ირაკლი თოიძის, ლევან ცუცქირიძის, უჩა ჯაფარიძისა და ნათელა იანქოშვილის.

ვუთმობ რა დიდ დროსა და ენერგიას იმ წიგნებისა თუ სტატიების შეგროვებას, რაც სამტრედიელებს გამოუციათ, ვიმედოვნებ, ჩემთან ერთად (ორი გამოცემა შევწირე მუზეუმს) თქვენც მიიღებთ ამ საქმეში მონაწილეობას.

**გულიკო ცინცაძე**
**მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგე**

# "საიმედო მემანქანე"

საპატიო სახელის მოპოვება, ცხოვრების რომელ უბანს ან რომელ პროფესიასაც უნდა ეხებოდეს იგი, დამოკიდებულია საქმის ცოდნაზე, არჩეული სპეციალობისადმი სიყვარულზე. ეს კარგად ესმის საქართველოს რკინიგზის მგზავრთა გადაყვანის სამტრედიის ფილიალის სალოკომოტივო პუნქტის მემანქანეს იაკობ რევიშვილს. მან 1970 წელს დაამთავრა სამტრედიის მეორე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა რკინიგზის პროფესიულ სასწავლებელში. მამის რჩევით რომელიც სალოკომოტივო დეპოს ოსტატი იყო, იაკობი მუშაობას იწყებს სალოკომოტივო დეპოში ზეინკლად. შემდეგ მემანქანის თანაშემწედ, ხოლო 1978 წლიდან _ მემანქანედ. საქმის სიყვარულმა და ინტერესმა მალე გამოიღო შედეგი და ის აბარებს საკვალიფიკაციო კომისიის გამოცდებს და აწინაურებენ სახალხო მატარებლის მემანქანედ, სადაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ მეტად საპატიო საქმეს. მემანქანის ერთმა შეცდომამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოიტანოს და ამიტომ ბატონი იაკობი სანიმუშოდ უვლის ელმავალს, ამოწმებს რადიოკავშირს და სიგნალიზაციის გამართულ მუშაობას, რომელიც უსაფრთხოების ერთ-ერთი საწინდარია. იაკობი იხსენებს; სადგურ სუფსაში შესვლისას შეამჩნია, რომ რელსი იყო ამოტეხილი, ღებულობს შემადგენლობის ექსტერნულ გაჩერებას, რისთვისაც გზის ხელმძღვანელობის მიერ მადლობას და ერთი თვის ხელფასს იმსახურებს და აი, დღესაც მილიონი კილომეტრის უავარიოდ და უწუნოდ გარბენისათვის ბატონი იაკობი საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობამ დააჯილდოვა ერთი თვის ხელფასით და ტელევიზორით. მას "საიმედო მემანქანის" საპატიო სახელი ეწოდა.




უყვარს თავის საქმე "საიმედო მემანქანეს" და ბევრ ახალგაზრდასაც შეაყვარა იგი. მის გვერდით შრომობენ წარჩინებული მემანქანეები, საპატიო რკინიგზელი. რკინიგზელი იური პაპავა, გელა მარდელაშვილი, სოსო ქორიძე, დავით ნუცუბიძე, გოჩა ფიჩხაია, გიორგი მალიშავა, როლანდ კოხრეიძე და სხვები. ბატონ იაკობს სწამს ჩვენი მომავალი, დიდი აბრეშუმის გზის გამარჯვება, რომელიც უდიდეს წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობასა და გაძლიერებაში.

**რევაზ შამათავა**

# სად სწავლობდა შოთა რუსთაველი?

კახეთში, კერძოდ, თელავის ჩრდილოეთით რამდენიმე წუთის სავალზე მდებარეობს იყალთოს სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ერთ-ერთ ასურელ მამას ზენონს მეექვსე საუკუნეში დაუარსებია.

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში კი, უდიდეს საეკლესიო მოღვაწესა და განმანათლებელს არსენ იყალთოელს ტაძრის მახლობლად სასულიერო აკადემია გაუხსნია.



სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ცნობები იმდენად გვიანდელი ხანისაა, რომ იყალთოს აკადემიის შესახებ ამომწურავ მასალას არ შეიცავს.

გადმოცემის თანახმად, სწორედ იყალთოს აკადემიაში სწავლობდა უკვდავი "ვეფხისტყაოსნის" ავტორი, გენიალური შოთა რუსთაველი.

მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია რამდენიმე ეკლესია, სატრაპეზოსა და აკადემიის ნანგრევები.

ეკლესიათაგან ერთ-ერთში დაკრძალული იყო მამა ზენონი.

როგორც ცნობილია, "ვეფხისტყაოსანის" წლადაა გამოცხადებული მსოფლიოში 2016 წელი, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850-ე წლისთავს ეძღვნება.

ყველა ინფორმაციის გახსენება, რომელიც იუბილარი პოეტისა და მოაზროვნის ცხოვრებასა და მოღვაწეობას უკავშირდება, საინტერესო და ყურადსაღებია.

**ლევან გაბეჩავა**

*გალერეა*

# ჩავაბარებ უკანასკნელ წერილს

**ლევან გაბეჩავა**

***ხვალიდან კი დამივიწყებს ყველა... არის ეს სიტყვები ცნობილი ქართულ მხატვრულ ფილმში, სადაც მოხუცი ფოსტალიონის _ დამტარებლის როლს, ასევე ცნობილი მსახიობი, ბატონი სერგო ზაქარიაძე ასრულებს.***

***დღევანდელ თაობას არ უნახავს მხარზე გრძელჩანთაგადაკიდებული დამტარებლები, დარსა თუ ავდარში წერილებს, დეპეშებს, ჟურნალ-გაზეთებს რომ დაატარებდნენ და ყოველი ოჯახისათვის ახლობელ ადამიანებად ითვლებოდნენ.***

რუბრიკა "გალერეა" ამჯერად სოფელ მელაურის ფოსტის ყოფილ გამგეს, ქალბატონ ნელი მანჯგალაძეს მასპინძლობს.

მელაურის 8 წლიანი და რკინიგზის მე-14 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა. ბუღალტერ-ეკონომისტმა ორი წელი პროფესიის მიხედვით იმუშავა, მერე კი, კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილების მაშინდელი თავკაცის, გიორგი მეფარიშვილის ბრძანებით, მელაურის ფოსტის გამგედ დაინიშნა. სულაც არ იყო იოლი საკმაოდ დიდი სოფლის საფოსტო მომსახურება, თუმცა, ქალბატონი ნელი, ფოსტის მუშაკები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ უკმაყოფილო არავინ ჰყოლოდათ.

ცენტრალური თუ რესპუბლიკური, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების წერილების, დეპეშების, მისალოცი ბარათების დახარისხება არცთუ იოლი, თუმცა საინტერესო და საპასუხისმგებლო პროცესი იყო. _ გვიყვება ქალბატონი ნელი და სევდით, მწუხარებით იგონებს იონა ხურცილავას, კოლია ურდიას, მამული სანიკიძეს, კოლია მდივანს, ქეთო რამიშვილსა და მელაურის ფოსტის ყოფილ, უკვე მარადისობაში გარდასულ მუშაკებს, რომლებმაც ათეული წლები ილვაწეს კავშირგაბმულობის სისტემაში, ხოლო მაგლო ნიკურაძესა და გურამ ხუჭუას ხანგრძლივ სიცოცხლეს, მშვიდ ხანდაზმულობის წლებს უსურვებს. ისინი მთელი პასუხისმგებლობით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, დასაყრდენი ადამიანები, თანამშრომლები იყვნენო, _ დასძენს რესპონდენტი.

ქალბატონ ნელის, როგორც სასოფლო ფოსტის გამგეს ურთიერთობა კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილებისა და სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაქმებულ ადამიანებთანაც უხდებოდა, ნიკანდრო კაკაბაძეს, საშა ფოცხვერიას, როლანდ მეიშვილს თბილად იხსენებს.

_ თუ მე კავშირგაბმულობის _ ფოსტის სისტემაში რაიმეს გაკეთება შევძელი, ქალბატონი ეთერ ლომიძე-ბარათელის უდიდესი დამსახურებაა. იგი გახლდათ მთავარი კონტროლიორი, სათნო, საქმის ჩინებული მცოდნე. _ გვიყვება ნელი მანჯგალაძე და ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებს მის უფროს კოლეგას, ქალბატონ ეთერ ბარათელს.

საინტერესო მოსაუბრეა ჩვენი რესპონდენტი: სამი შვილიშვილი მყავს, მინდა წიგნი შევაყვარო მათ, მე კი ისე არ გავა დღე, რაიმე საინტერესო არ წავიკითხოო და იმ დროს შენატრის, როცა ჟურნალ-გაზეთების შეძენის მეტი მსურველი და მეტი შესაძლებლობაც რომ იყო ქვეყანაში.

თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების განვითარებამ ბევრი რამ შეცვალა, თუმცა უცვლელია ადამიანური ურთიერთობები.



წერილის დასაწყისში გამოტანილი სიტყვების საპირისპიროდ რომ ვთქვათ მართალია, დამტარებლებმა დიდი ხანია ჩააბარეს უკანასკნელი წერილი და ერთ დროს მძიმე ჩანთაც დაცარიელდა, თუმცა არავის დავიწყნია მათი სახელები, ამაგი, ღვაწლი.

ეს მცირე წერილიც ამის გამოხატულებაა.

# სამტრედიისთვის დახარჯული კაცი

***ვალერიან კოპალეიშვილი, პიროვნება და ხელმძღვანელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამტრედია გადაქცეულიყო ერთ-ერთ მძლავრ სამრეწველო ქალაქად.***

ვალერიან ლავრენტის ძე კოპალეიშვილი 1921 წელს დაიბადა სამტრედიაში. 1939 წელს დაამთავრა ქალაქის № 1 საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისში, საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1944 წელს სამთო ინჟინრის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი ვალერიანე სამუშაოდ ჩამოდის თავის მშობლიურ ქალაქში.

თუ მიმოვიხილავთ სამტრედიის ისტორიას, ვნახავთ, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე კულაშის მაზრაში შემავალი სოფელი სამტრედია იყო სასოფლო-სამრეწველო საწარმო, საქმიანობით გლეხობის კერძო მეურნეობაზე დაფუძნებული სოფელი. ერთ-ერთი რომელიც აწარმოებდა ფრანგული ლიცენზიით აგურსა და კრამიტს, ეკუთვნოდა სამტრედიის მკვიდრს პ. ჭეიშვილს, არგენტინაში მცხოვრებ, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ლეო ჭეიშვილის მამას. იგი საბჭოთა პერიოდშიც ფუნქციონირებდა.

1870 წელს, ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ, სოფელი სამტრედია გადაიქცა ქალაქის ტიპის დასახლებად და სარკინიგზო კვანძად.

აღნიშნულმა მოვლენამ საბჭოთა პერიოდში საფუძველი ჩაუყარა სამტრედიაში სამრეწველო საქმიანობის გაშლას. გამოჩნდა პირველი საწარმოები.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, პრაქტიკულად, 1946 წლიდან იწყება სამტრედიის სამრეწველო ქალაქად ჩამოყალიბების ისტორია. სწორედ ამ პერიოდში სამტრედიაში ჩამოდის და მუშაობას იწყებს "საქჩაის მექანიკური სახელოსნოს" მთავარ ინჟინრად, ხოლო შემდეგ დირექტორად ბატონი ვალერიანე.

1952 წელს ვალერიან კოპალეიშვილს ირჩევენ სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1954 წლიდან ვალერიან კოპალეიშვილი ინიშნება სამტრედიის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორად და პარალელურად არის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. ამ პერიოდში ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი მოიცავდა ყველა სამრეწველო საწარმოს სამტრედიაში. მათ შორის კირის წარმოებას, აგურის ქარხანას, ტრიკოტაჟისა და სამკერვალო საამქროებს, ავეჯისა და ხის დამუშავების საწარმოს, საკონსერვო, ლურსმნის, სარკის, ლიმონათის დამამზადებელ საამქროებს, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი შეადგენდა 600 კაცზე მეტს. პირველად სამტრედიაში მათთვის აშენდა 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი რუსთაველის ქუჩაზე.

1959 წელს რესპუბლიკაში შეიქმნა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო, რომლის შედეგადაც სამტრედია გადაკეთდა მრეწველობის ცენტრად, რაიონის თავკაცად დაინიშნა ამირან მანჯგალაძე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამთავრობო დადგენილებით სამტრედიის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს შეუერთდა მეზობელი რაიონების საწარმოები.

სწორედ ამ პერიოდში ვალერიანე კოპალეიშვილის თაოსნობით სოფელ ბაძგნარში აშენდა და მწყობრში ჩადგა კერამიკული მილების ქარხანა, რომელიც მეორე იყო კავშირის მასშტაბით ნოვოსიბირსკის შემდეგ. ქარხნის გახსნას დაესწრო რესპუბლიკის იმჟამინდელი ხელმძღვანელი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე, მან პირადად მიულოცა ბატონ ვალერიან კოპალეიშვილს მშენებლობის დასრულება.

1963 წლიდან ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს გამოეყო მერქნის დამუშავების პროფილის საწარმოები და უწყებრივად დაექვემდებარა საქართველოს ხე-ტყისა და ხის გადამუშავების სამინისტროს, სახელწოდებით, სამტრედიის ხის-დამუშავების კომბინატი (ხდკ), რომლის დირექტორად დაინიშნა დღეს უკვე ყველა სამტრედიელისათვის ცნობილი და ლეგენდარული პიროვნება, ვალერიან (ვალიკო) კოპალეიშვილი. თამამად შეიძლება ითქვას, დღიდან მისი დანიშვნისა დაიწყო კომბინატის მზარდი ნაბიჯებით წინსვლა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არსებული საამქროების გადაიარაღებასა და ახალი საამქროების მშენებლობას, რომელიც შემდგომ დამოუკიდებელ, მძლავრ საწარმოებად ჩამოყალიბდა. მერქნის გადამმუშავებელ საამქროში დამონტაჟდა ხის მორის ორსართულიანი ჩარჩო-ხერხი. დაინერგა შპონის სახდელი ჩარხი თავისი საშრობი მოწყობილობით. ცალკე შეიქმნა პარკეტის დამამზადებელი საამქრო. საავეჯო საამქრო გადაკეთდა ავეჯის დამამზადებელ ფაბრიკად, საიდანაც სავაჭრო ქსელს მიეწოდებოდა მაღალი ხარისხის საძინებელი გარნიტური "მზიური". არსებული კომბინატის გაფართოება დღის წესრიგში დააყენა კომბინატის ახალ ტერიტორიაზე გადატანის საკითხი. ბატონი ვალერიანე კოპალეიშვილის წინადადებით ასეთ ადგილად მიჩნეული იქნა სოფელ ნაფალაურის ტერიტორია, რაც როგორც სარკინიგზო ჩიხის შემოყვანის, ასევე კომბინატის შემდგომი გაფართოების უზრუნველყოფის საშუალებას იძლეოდა. ფაქტიურად კომბინატი განთავსდა 45 ჰექტარ ფართობზე.

1970 წლიდან კომბინატში დაიწყო სრულიად ახალი აღმშენებლობითი პროცესი. ეს იყო ტექნიკური პროგრესის, ახალი მიღწევების პრაქტიკული რეალიზება, რასაც საფუძველი ჩაუყარა კრასნოდარის საპროექტო ინსტიტუტის მიერ დაპროექტებულმა მერქან-ბურბუშელოვანი ფილების წარმოებამ, რის საფუძველზეც აშენდა და მწყობრში ჩადგა მერქან ბურბუშელოვან ფილების საწარმო პოლონური ორი ტექნოლოგიური ხაზით თითოეული 37,0 კუბური მეტრი ფილის წარმადობით. შემდგომში მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეძენილი იქნა და ცალკე საამქროში დამონტაჟდა ფინური კომპანია "რაუმა-რეპოლის" ტექნოლოგიური ხაზი 80.0 კუბური მეტრი წარმადობით, რითაც კომბინატმა უზრუნველყო რესპუბლიკის მოთხოვნილება მერქან-ბურბუშელოვანი ფილების წარმოებისთვის. პარალელურად დაპროექტდა და ამოქმედდა საავეჯო ფაბრიკის კორპუსი სრულიად ახალი დანადგარებით, კანადური ტექნოლოგიით. საავეჯო ფაბრიკისა და მერქან-ბურბუშელოვანი ფილების წარმოების პარალელურად მოეწყო მძლავრი მექანიკური საამქრო, მწყობრში ჩადგა ლამინირებული ფილების საამქრო, რაც სრულიად ახალი პროდუქტი იყო საავეჯო წარმოებისთვის.



ბატონი ვალერიან კოპალეიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა კომბინატის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებასა და არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. ამის თვალნათელი მაგალითია ის, რომ კომბინატის ლიმიტით უმაღლეს ტექნიკურ უნივერსიტეტში სპეციალობის მისაღებად, მოსკოვსა და პეტერბურგში სასწავლებლად გაიგზავნა კომბინატის თანამშრომლები: რეზო ჩხეიძე, კარლო აბშილავა, ჯუმბერ ივანიაძე, მურთაზ თელია. მათ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საქმიანობა განაგრძეს კომბინატში. სპეციალისტების მომზადების მიზნით კომბინატის ბაზაზე შექმნა სატყეო ტექნიკუმის ფილიალი. ტექნიკუმი ამზადებდა მეავეჯეებს, ლაბორანტებს, ელექტრიკოსებს, მექანიკოსებს, ტექნიკური დარგის მუშაკებს. კომბინატს ჰქონდა თავისი საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო.

საწარმოში სხვადასხვა დარგს ხელმძღვანელობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ბატონი გივი გახოკიძე, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტები თინა ჯვარშეიშვილი და ეთერ ტორონჯაძე. კომბინატის ბაზაზე შექმნილ ახალ საამქროებს სათავეში ედგნენ დარგის სპეციალისტები, ინჟინერ-ტექნოლოგები, სამტრედიის მკვიდრნი: რეზო ჩხაიძე, სამსონ ყუბანეიშვილი, ჯუმბერ ივანიაძე, დალი ჯიქიძე, ლევან პაპავა, გია ბოჭორიშვილი და კიდევ მრავალი სხვა. ბუნებრივია, მათ სახელებს ერთი საგაზეთო პუბლიკაცია ვერ დაიტევს. კომბინატში მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნებამ 3500 კაცს მიაღწია, კომბინატი გადაიქცა გიგანტ ფლაგმან საწარმოდ რესპუბლიკის დარგის საწარმოთა შორის. აღსანიშნავია რომ კომბინატის გამობრძმედილი კადრები ინიშნებიან სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობაზე: ლევან ჩხეიძე სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, შემდეგ ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად; ჯანოსი ბოხუა რაიკომის ტრანსპორტისა და მრწველობის განყოფილების გამგედ, გოგი ბახტაძე – ხეტყის ბაზის დირექტორად, ზურაბ კოხრეიძე ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ, შემდეგ ხდკ-ს დირექტორად, მერაბ კალაძე – ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, გია ბოჭორიშვილი რაიკომის მრეწველობის და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ, შემდეგ რძის კომბინატის დირექტორად, ლევან პაპავა – ქალაქის მერის მოადგილედ, იური ჩიბიროვი – რაიონის საფინანსო სამსახურის უფროსად, ილია ოდილავაძე – საკონსერვო კომბინატის მთავარ ინჟინრად და ჩაის გადამმუშავებელი საწარმოს დირექტორად, მიტროფანე სტურუა – რაიონის პროკურორად, შემდეგ ცაგერის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ, თამაზ მურღულაია – აღმასკომის ინსტრუქტორად, შემდეგ სარაინოთაშორისო ადგილობრივი მრეწველობის გაერთიანების გენერალურ დირექტორად. კომბინატის სამედიცინო პუნქტში მუშაობდნენ ექიმები: კარდიოლოგი ნუნუ აბრამია, თერაპევტი ირინა დოკაძე, სტომატოლოგი ვოვა ველიჩკო.

პარალელურად ყურადღება დაეთმო მუშა-მოსამსახურეებისათვის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. აშენდა და გაიხსნა საბავშვო ბაგა-ბაღი, შეიქმნა საყოფაცხოვრებო ობიექტები, სააქტო დარბაზი, სამედიცინო კუთხე, სასადილო. კომბინატის დამხმარე მეურნეობა, რომელიც სურსათით უზრუნველყოფდა არა მარტო კომბინატის თანამშრომლებს, არამედ ქალაქის მოსახლეობას. ქალაქის ტერიტორიაზე აშენდა მუშა-მოსამსახურეებისათვის 5 საცხოვრებელი კორპუსი, მათ შორის ერთი ცხრა სართულიანი სახლი.

ვალერიან კოპალეიშვილი ყურადღებას უთმობდა არა მარტო კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესებას, არამედ ქალაქის კეთილმოწყობას, კერძოდ, მოსახლეობის ღობეების მოწყობას. მისი უშუალო ძალისხმევითა და ინიციატივით სამტრედიაში გაყვანილი იქნა ტროლეიბუსის ხაზი. კომბინატის თანხებით მოეწყო და შეძენილი იქნა ძალოვანი სატრანსფორმატორო ჯიხურები, ელსადენები, ტროლეიბუსების ავტოპარკი (დირექტორი იუზა სახოკია).

პირველად სამტრედიაში, კულაშის, გამარჯვების ქუჩისა და ხის დამუშავების კომბინატის დასახლების მცხოვრებლები, ერთმანეთს დაუკავშირდნენ ტროლეიბუსის საშუალებით.

ვალიკო კოპალეიშვილი დაჯილდოებული იყო, სახელმწიფოს არაერთი პრესტიჟული ორდენით და მედლით, თუმცა ის ყველაზე დიდ ჯილდოდ ასეული სამტრედიელისთვის გაკეთებულ საქმეს მიიჩნევდა. ამიტომაც დაუღალავად ზრუნავდა როგორც კომბინატის, ასევე ქალაქის განვითარებისთვის. რამდენად დასანანია, რომ ასეთი კაცი დააკლდა ქალაქს, 62 წლის ასაკში იგი მოულოდნელად ინსულტით გარდაიცვალა. ღვაწლმოსილი ადამიანი გულწრფელად დაიტირა სამტრედიისა და რესპუბლიკის საზოგადოებამ.

**თამაზ მიქაძე**
**გია ბიჭორიშვილი**
**ჯუმბერ ივანიაძე**
**რეზო ჩხეიძე**
**ლევან პაპავა**



# “ადამიანის ბედის გადაწყვეტისას კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ წიგნში”

ნათია ნაცვლიშვილი

***“ ვიპოვნი მე ჩემს პლევაკოს” – მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთში უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანი ასე იქადნებოდა. ადვოკატ პლევაკოს სახელი სამართლიანობის პოვნის სინონიმად იქცა. 1999 წელს გაზეთი “ივერია ექსპრესი” წერდა: “გამოკითხვის შედეგად დავასკვენით, რომ ქართველი პლევაკო არ არსებობს, რადგან უბრალო მოქალაქეებიდან გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ საერთოდ არ იცნობს არც ერთ ადვოკატს. შალვა რჩეულიშვილს, რომელმაც გამოკითხვის შედეგად ყველაზე მეტი ხმა დააგროვა, ქართველ პლევაკოდ ვერ დავასახელებთ, თუმცა ყველაზე პროფესიონალი ადვოკატის სახელი მან ღირსეულად მოიპოვა და მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილია, ჩვენი რესპოდენტები აცხადებენ: “ადვოკატად მაინც შალვა რჩეულიშვილს ავირჩევდი”. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ ერთი წლის შემდეგაც წლის საუკეთესო ადვოკატად კვლავ 2 წლის წინ გარდაცვლილი შალვა რჩეულიშვილი დასახელდა. წლების წინ ადვოკატის შვილმა, პოლიტიკოსმა ვახტანგ რჩეულიშვილმა მაჩუქა წიგნი, რომელიც ადვოკატის ღვაწლს ასახავს და მისი სიკვდილის შემდეგ 2002 წელს გამოიცა. გარდაცვლილ ადამიანთან მიმართებაში მთელი მსოფლიო ერთ შესანიშნავ წესს ემორჩილება. ან კარგს ამბობენ, ან არაფერს. წიგნის გაცნობის შემდეგ კი, დავრწმუნდი, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ გარდაცვალების მოტივით პიროვნების განდიდებასთან ნამდვილად არ გვქონდა საქმე. 14 იანვარი ადვოკატ შალვა რჩეულიშვილის დაბადების დღეა და ინტერესმოკლებული არ იქნება, მკითხველს ამ ადამიანის შესახებ მოვუყვეთ.***

ადვოკატის პროფესია ხომ უდიდეს პასუხისმგებლობას მოიცავს თავის თავში და საქართველოში არც ისე იოლია, კარგი ადვოკატის სახელი მოიპოვო.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით რამდენიმე წლის წინ, დიდი მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე, 8 ნოემბერი ადვოკატის დღედ დადგინდა.

შალვა რჩეულიშვილს აღიარება არც სიცოცხლეში დაჰკლებია, რასაც მის კარებთან ცოცხალი რიგი მოწმობდა, თუმც არ დაჰკლებია განსაცდელი. ადვოკატი-ლეგენდა, რომელსაც თითქმის არცერთი საქმე არ წაუგია – ასე იხსენებენ მას მისი თანამედროვენი. ადვოკატს შესანიშნავი გენეალოგია ჰქონდა. შალვა რჩეულიშვილის და ნაადრევად გარდაცვლილი დიდი ქართველი მწერლის გურამ რჩეულიშვილის პაპა გახლდათ დიმიტრი რჩეულიშვილი. ამ ადამიანის მეუღლე იყო დიდი ივანე ჯავახიშვილის უმცროსი და, ალექსანდრა ჯავახიშვილი. დიმიტრი რჩეულიშვილსა და ალექსანდრა ჯავახიშვილს სამი ვაჟი ჰყოლიათ: ვახტანგი (სოციალისტთა ლიდერის, ვახტანგ რჩეულიშვილის პაპა), მიხეილი (მწერალ გურამ რჩეულიშვილის მამა) და ლეო (გიორგი ჩუბინაშვილის სიძე). დიმიტრი რჩეულიშვილის უფროსი ვაჟი, ვახტანგი, 27 წლის ახალგაზრდა პროფესორი უდროოდ გარდაიცვალა. მისი ობლად დარჩენილი შვილების: თამარის, ლამარას და შალვას გაზრდა ალექსანდრა ჯავახიშვილმა, პეტერბურგის უნივერსიტეტში განათლებამიღებულმა ითავა თურმე.

შალვა რჩეულიშვილს თბილისის საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ბიძის, ხელოვნებათმცოდნე ლეო რჩეულიშვილის გავლენით თეატრალურ ინსტიტუტში ჩაუბარებია. პირველივე კურსიდან ლიდია ბელიაევსკაიას გავლენით, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტ-



უდენტი იყო, პროფესია შეუცვლია, ექსტერნად ბრწყინვალედ ჩაუბარებია იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის ყველა გამოცდა და პირდაპირ გამხდარა მეორე კურსის სტუდენტი. შავლა რჩეულიშვილს 1957 წელს თავის სადიპლომო ნაშუშევარში ლენინიც გაუკრიტიკებია, კარლ მაქსის ციტატები დაუწუნია, რამაც პროფესორ-მასწავლებლები შოკში ჩააგდო თურმე.

იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიულ სამმართველოში მუშაობდა მთავარ სპეციალისტად.

იყო თბილისის სამხატვრო კომბინატის გენერალური დირექტორი. საქართველოს ალკოჰოლური სასმელების ქარხნის ხელმძღვანელი.




იუსტიციის ყოფილი მინისტრი, როლანდ გილიგაშვილი იგონებს: “საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში კანონებისადმი პატივისცემა და ადვოკატურის სისტემის დაფასება შალვა რჩეულიშვილით დაიწყო. წინა პერიოდის გამოცდილი ადვოკატების – ბარათაშვილის, ხომერიკის, ალხაზიშვილის მერე ერთი პერიოდი გაჩენილი სიცარიელე ამოავსო შალვა რჩეულიშვილმა, ერთ-ერთმა ძალიან ძლიერმა ადვოკატმა თავისი განსწავლულობით, გამოცდილებით. ის იყო უკომპრომისო კაცი და ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა. ამის გამო ბევრ პროკურორს თუ გამომძიებელს არ მოსწონდა იგი. სისტემატიური კამათი იმართებოდა მათ შორის მე, როგორც პროკურორი, მადლობელი ვარ მისი პიროვნების და მის ხსოვნას ძალიან დიდ პატივს ვცემ, იმიტომ, რომ მასწავლა გარკვეული სიფრთხილე, წინდახედულობა, კიდევ ერთხელ გადამოწმება ადამიანის ბედის გადაწყვეტის დროს და წიგნებისა და კანონების მოშველება. მისი დევიზი იყო: “ადამიანის ბედის გადაწყვეტისას კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ წიგნში, რომ არ დავუშვათ უნებლიე შეცდომა... გარდა იმისა, რომ პროფესიული თვალსაზრისით ვცემდი პატივს, თუ ვინმე ჩემს ახლობელს დასჭირდებოდა დამცველი, ყოველთვის ვურჩევდი, რომ შალვასათვის მიემართა. მე თვითონ რომ დამჭირდებოდა, აუცილებლად შალვას მივმართავდი, ჩემი ინტერესი დაიცავი-მეთქი”.

ადვოკატი ზურაბ ტაბიძე იხსენებს, რამდენიმე საათიანი საშინელი შეტევის შემდეგ როგორ წამოდგა შალვა რჩეულიშვილი ლოგინიდან და სასამართლო პროცესზე გაეშურა საქმის ბოლომდე მისაყვანად. კიდევ ერთი ადამიანის გადასარჩენად, მაგრამ განგებამ არ დააცალა...

“არ მახსოვს შემთხვევა, მას მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესები ოდნავ მაინც დაეთმო: არანაირი საზღაურის ფასად არ უღალატებდა მას, ვინც თავისი ბედი მიანდო. ამის გამო სცემდნენ პატივს როგორც გამოძიების მხრიდან, რომლის “მტერიცაა” ადვოკატი, ასევე – ბრალდებულის მხრიდან. ის იყო ძლიერი ადვოკატი, რომელიც ბუნებრივია გამოძიებას არ მოსწონდა, მაგრამ როდესაც გამომძიებელს ან გამომძიებლის ახლობელს რაიმე გაუჭირდებოდა და დასაცავი ხდებოდა, პირველ რიგში მიმართავდა მხოლოდ რჩეულიშვილს. – იგონებს პარლამენტარი ვახტანგ გვარამია.

შვილის, ვახტანგ რჩეულიშვილის თქმით, ერთხელ ადვოკატს დაპირისპირება მოუწია თავისი სამმართველოს უფროსთან, რომელიც ცეკას მაშინდელ მდივანს ენათესავებოდა. ისიც ჩარეულა და ცეკას მდივნის დონეზე მოხდა ზეწოლა ადვოკატზე. “მოვიდა სახლში დედაჩემთან და უთხრა: ლიდა ან ბოლომდე უნდა ვიბრძოლო, ან უნდა დავთმო, რადგან მოსამართლე ხარ და მეშინია შენც არ გაგიფუჭო საქმე, მაგრამ რომ დავთმო, რაღაც შინაგანი “პრუჟინა” გამიწყდებაო. დედას პასუხი ასეთი იყო: “კამუ ნუჟენ მუჟ ბეზ პრუჟინი, თუ საჭირო იქნება, ბარი ავიღოთ და ოჯახი ისე ვარჩინოთო”. – იგონებს პოლიტიკოსი რჩეულიშვილი.

ვახტანგ რჩეულიშვილი ასევე იგონებს: როცა ადვოკატი შალვა რჩეულიშვილი დააპატიმრეს, ციხეს საგანგებოდ სწვევია შს მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე და სამსახურიდან გათავისუფლებით დაუშინებიათ მთელი პერსონალი, თუ შალვასაგან რაიმე ინფორმაცია გარეთ გამოვიდოდა. ოჯახმა ზაზა დარასელის დახმარებით შეძლო ადვოკატთან გამამხნევებელი წერილის შეგზავნა, საპასუხო წერილს გულის ფანცქალით ელოდნენ. ციხიდან კი სქელყდიანი რვეული მისივე დაწერილი პოემით მიიღო ოჯახმა. პოემაში ასეთი რამ ეწერა:

“სამმა ძმამ დასდეს პირობა პაპისეული კერისა
აღდგენა – გადარჩენა, ახლიდან გაბრწყინებისა,
ამისთვის განძი შეკრიბეს, უხმეს ხუროთა ხუროსა,
უმცროსმა თავად ივისრა ყიდვა კირის თუ უროსა”

შემდეგ პოემის სიუჟეტი ახალ-ახალი ეგზოტიკური პერსონებით მდიდრდებოდა:

“როდამეს უყვარს აიდა, მოტყუებული ძალადა.

ვაი საწყალო შალვა. აქვითინდნენ თურმე ოჯახის წევრი ქალბატონები, როცა ციხიდან გაგზავნილი ადვოკატის პოემა წაიკითხეს, მაგრამ შვილმა იცოდა რა მამის ხასიათი, იმთავითვე არ დაიჯერა მისი გაგიჟება, ოთახში ჩაიკეტა და პოემაში დაშიფრულ სქემასაც მიაგნო. აი, რას წერს ვახტანგ რჩეულიშვილი: “შეთითხნილი ბრალდება ეყრდნობოდა ჩხრეკისას ჩვენი სახლიდან ამოღებულ თანხას და ცეცხლსასროლ იარაღს. იარაღი რომ თავად გამომძიებელმა შემოაგდო, ეს შედარებით ადვილად დავამტკიცეთ, მაგრამ თანხის წარმომავლობაც ასახსნელი იყო. მივხვდი, რომ სწორედ ამ თანხას გულისხმობდა მამაჩემი, როცა “განძზე” ლაპარაკობდა. ამის შემდეგ ნათელი გახდა თანხის წარმომავლობის შალვასეული ვერსია: ის მთლიანად შეგროვებული იყო რჩეულიშვილების სამი ოჯახის მიერ პაპისეული სახლის აღსადგენად თელავში და ჩაბარდა შალვას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო სახლის მშენებლობა. სახლის რეკონსტრუქციის პროექტიც აღმოვაჩინეთ. რაც შეეხება აიდას, ცნობილი ოპერის პერსონაჟი აღმოჩნდა შალვას ერთ-ერთი კლიენტის და აიდა არუთინოვა, რომელსაც ბევრი სცოდნია მოწყობილი პროვოკაციის კონკრეტულ დეტალებზე და მისი დაკითხვა საბოლოოდ დაეხმარა ძიებას სამართლის დადგენაში. წელიწადნახევრიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ შალვა არა მარტო სრულად გამართლდა, არამედ კომპენსაციის სახით რამდენიმე ათეული ათასი მანეთიც მიიღო. თელავის პაპისეული სახლიც საბოლოოდ აშენდა”.

“პატარა გოგონამ მარჯანიშვილზე მაღაზიაში კაბა რომ მოიპარა, გამოსასვლელში დაიჭირეს და შენ გამოესარჩლე, ჩემი შვილია, ჩემთვის უნდა ეჩვენებიაო და სამი კაბა უყიდე”. – იხსენებს თავის მოგონებებში ზაზა დარასელი.

წლეულს 14 იანვარს შალვა რჩეულიშვილს 84 წელი შეუსრულდებოდა...

# პირველი ქართველი პროფესორი ქალი

**ლევან გაბეჩავა**

1918 წელი, 8 თებერვალი, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელის ხსენების დღეს ასრულდა ქართველი ინტელიგენციის სანუკვარი ოცნება, თბილისში უნივერსიტეტი დაარსდა, რომლის სათავეებთან დიდი ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, პეტრე მელიქიშვილი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები იდგნენ. პირველ რექტორად პეტრე მელიქიშვილი დაინიშნა.

1919 წელს უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში ასეთი საუბარი შედგა:

_ ბატონო პროფესორო, მიმიღეთ თქვენს ასისტენტად.

_ კარგი, მაგრამ იცოდეთ, გზა ძნელი იქნება, თქვენ ქალი ხართ, შეგიძლიათ, მთელი დრო მოახმაროთ უნივერსიტეტს? ხელფასი მცირე გექნებათ, იქნებ გადაიფიქროთ?

_ ნუ აჩქარდებით, რამდენიმე თვის შემდეგ მომეცით პასუხი.

...და რამდენიმე თვის შემდეგ ქალიშვილმა უნივერსიტეტის თანამშრომლობის უფლება მიიღო.

მყუდროდ, სადად მორთულ ოთახში დასვეს ნინო ციციშვილი, კედელზე მისი მშობლების სურათები გაჩნდა: დედა, ცნობილი ანა ბენეში _ ცნობილი, როგორც უნიჭიერესი ჩეხი მევიოლინე, მამა _ ილია ჭავჭავაძის მდივანი _ სოლომონ ციციშვილი (ილიას მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნისას). მოხუცი იყო უნივერსიტეტის რექტორი, ახალგაზრდა გახლდათ მისი ასისტენტი, ნინო ციციშვილი.

პეტრე მელიქიშვილი თბილისში ქიმიურ სასწავლო-კვლევით ლაბორატორიას აარსებს, რომლის მოწყობის სიმძიმე ნინოზე გადადის, რომელიც მცირე ხელფასით საჭირო რეაქტივებს იძენს.

მას გვერდით უდგას მისი განუყრელი მეგობარი და მეუღლე მექი ბექაია.

"ძვირფასო და საყვარელო ნინო, _ იწერებოდა პეტრე მელიქიშვილი ბორჯომიდან, _ სიტყვით ვერ შევძლებ გამოვხატო, რამდენად მადლობელი და ბედნიერი ვარ, რომ მყავს ისეთი მეგობრები, როგორიც თქვენ და მექი ბრძანდებით, უთქვენოდ ჩემს ლაბორატორიაში ყოფნა შეუძლებელი იქნებოდა".

პ. მელიქიშვილთან ერთად მონაწილეობს ნინო ციციშვილი პირველი ქართული ქიმიური ტერმინოლოგიის შედგენაში.

1926 წელს კი ბატონი პეტრეს რეკომენდაციით ახალგაზრდა სპეციალისტი დოცენტის თანამდებობაზე ინიშნება.

1927 წელს პეტრე მელიქიშვილი გარდაიცვალა, ნინომ დიდად განიცადა მისი გარდაცვალება.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ნინო ციციშვილს უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედროს გამგედ ნიშნავენ, ხოლო, 3 წლის შემდეგ იგი პროფესორია, პირველი ქართველი ქალი პროფესორი.

ფასდაუდებელია პროფესორ ნინო ციციშვილის დამსახურება დედა უნივერსიტეტის წინაშე.

მისი სახელმძღვანელოები უმაღლესი სკოლებისა და უნივერსიტეტებისათვის თარგმნილია რამდენიმე ენაზე.

მეცნიერმა ქალმა აღმოაჩინა ნახევრად პარაზიტი მცენარე, რამაც ბიძგი მისცა ქართველ მედიცინის მუშაკებს შეესწავლათ და დაედგინათ ფითრის, როგორც წნევის საუკეთესო საშუალების სამკურნალო თვისებები.

100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ნინო ციციშვილი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა უდიდესი წვლილი რომ შეიტანეს ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში.

უნივერსიტეტის დაარსების (1918 წელი) დღესთან დაკავშირებით გავიხსენეთ პირველი ქართველი ქალი პროფესორი, რომლის ნაღვაწს არასოდეს მიეკარება ბინდი დავიწყებისა.







# დუმილი სიტყვების ნაცვლად

ჩემი რესპონდენტი, რომელიც ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს მეუღლესთან ერთად, 16 წლის ასაკში დაოჯახდა. მან ეს ნაბიჯი ძალიან უცებ გადადგა. როგორც განაცხადა, ის მაშინ უბედნიერესი იყო. გოგონა მალე დედა გახდა. ავარიულ სახლში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, არ იყო არსებობისათვის აუცილებელი პირობები. ქმარი მასზე ხშირად ძალადობდა, სცემდა. გოგონა, რომელსაც, სამწუხაროდ, არ სურს მკითხველმა მისი ვინაობის შესახებ იცოდეს, ითხოვდა დახმარებას, მაგრამ ამაოდ. გაუსაძლისი პირობები და ფინანსური პრობლემები ოჯახის დიდი და მთავარი პრობლემა იყო.

"დღითიდღე უფრო მეშინია კარის გაღების, ჩემი მეუღლე ყოველთვის ნასვამი მოდის, მეშინია, ის ჩემზე კვლავ იძალადებს და მცემს. მეშინია მისი თითოეული სიტყვის. ის ყოველთვის ყვირის, ჩხუბობს, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, რომ ჩემი ცხოვრება გახდება ისეთი, როგორზეც 16 წლის ასაკში ვოცნებობდი". – გვეუბნება იგი.

ამ გოგონას ამბავი ერთ-ერთია ძალადობის იმ მრავალ ფაქტს შორის, რომლის მოწმეც, ნებსით თუ უნებლიედ, ვხდებით. შესაბამისად, გაიზარდა დანგრეული ოჯახების პროცენტული მაჩვენებელიც. განვითარებულ, ემანსიპირებულ საზოგადოებაში, ალბათ, მსგავსი ფაქტები და მით უფრო, მათზე მსჯელობა არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ პიროვნული თვისებები, განვითარების დონე, ინტელექტი, განათლება, სოციალური თუ სხვა პირობები განსაზღვრავენ ინდივიდის ქცევას, მის დამოკიდებულებას საზოგადოების მიმართ, კონკრეტულად ამ შემთხვევაში, ოჯახის წევრის მიმართ. არაჯანსაღი ატმოსფერო კი გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქიკაზე, მის ჯანმრთელობაზე.

ოჯახური ძალადობა კარგა ხანია, ფართო მსჯელობის საგანი გახდა საქართველოში. მოვლენის ირგვლივ არაერთ სატელევიზიო გადაცემასა თუ საგაზეთო პუბლიკაციაში იყო საუბარი. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების გარეშე ძნელია, შედეგებზე ილაპარაკო. ჩვენ ყველამ უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ საკითხის გადასაჭრელად. კონკრეტულ ვითარებაში ხმამაღლა უნდა ვისაუბროთ ძალადობის პრობლემებზე. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამასთან, უნდა გვჯეროდეს, რომ მომავალს თავად ვქმნით და ამაში საკუთარი თავისა და ღმერთის რწმენა დაგვეხმარება.

**ნათია თოთილაძე**

# გინება შინ და გარეთ

სამწუხაროდ, მოდად იქცა, უფრო მეტიც დაუწერელი კანონებით ვინც ყოველ წამს არ იგინება, "დედიკოს ბიჭია" და ერთგვარად მიუღებელია მოპირდაპირე სქესისათვის, გოგონებისათვის.

პირველი ქართული მხატვრული ფილმი, რომელშიც ქართველმა საზოგადოებამ გინება მოისმინა თემურ ბაბლუანის "უძინართა მზეა". საბჭოეთის ნგრევის პერიოდს დაემთხვა ფილმის დაბადება და ყოველივე ამანაც განაპირობა თუ არა, მკაცრი, რკინის ცენზურა ამის პრეცედენტს ნამდვილად არ დაუშვებდა.

ერთ-ერთ საკმაოდ ძველ ჩანაწერში, კინომცოდნე ლალა თაბუკაშვილი წერს: _ კინოში მაშინ მიმართავენ გინებასა და უხამსობას, როდესაც ვერც ნიჭით, ვერც პროფესიონალიზმით და ვერც დრამატურგიით ვერ ახერხებენ მაყურებლის ყურადღების მიპყრობას.

შოუებმა წალეკა ეთერი. დიახ, მიუღებელ-მიღებული ხერხით ცდილობენ მსახიობები მაყურებელთა ყურადღების კონცენტრირებას, რომელთაც თან ახლავს ფონოგრამირებული სიცილი.

რას ნიშნავს ყოველივე, რაზე მიუთითებს ეს გარემოება?

თანამედროვე შოუბიზნესის წარმომადგენელთა პროფესიონალიზმზე თუ დილეტანტობაზე?

გონიერმა მკითხველმა განსაჯოს.

**ლევან გაბეჩავა**

# საქართველო იყო მათი ფიქრის საგანი

***ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი... ვრცელია იმ ქართველ მამულიშვილთა ჩამონათვალი, გვარ-სახელების სია, საქართველოზე, მის ხვალინდელ დღეზე ფიქრსა და განსჯაში რომ ატარებდნენ ცხოვრებას.***
***ყავლი არასოდეს გაუვა ერისკაცთა ნააზრევს...***

"საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის თვითმყოფობით სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავის ვალი და ვახში არ დარჩენია..."

*ილია ჭავჭავაძე*

"პოლიტიკა ახალი მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენ ქეიფზე იყოს დამოკიდებული, არამედ ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორიც ენა, ეროვნება, სარწმუნოება..."

*ნიკო ნიკოლაძე*

"მთელი ჩვენი ისტორიული გამოცდილება და თვით ისტორია დიპლომატიურად უნდა ვაქციოთ ახალ დროში...

რაც უწინ შეგვეშალა და შეცდომა ვნახეთ, ის აღარ გავიმეოროთ..."

*აკაკი წერეთელი*

"გაუვალი კედელი, რომელიც ამართა საქართველოსა და ევროპის შუა ოსმალეთმა შავ ზღვაზე, შემუსვრილ იქნა რუსეთის მძლავრი ხელით და ამის შემდეგ ეს ზღვა წარმოადგენდა ფართო, განიერ გზასა საქართველოს ერის დაახლოებისთვის აყვავებულ ევროპის ერთა თანა..."

*იაკობ გოგებაშვილი*

**მოამზადა ლევან გაბეჩავამ**

## უკანასკნელი როლი სისხლიან "სპექტაკლში"

14 იანვარს ქართული თეატრის დღე აღინიშნა, სამშობლოს თავისუფლებისთვის წარმოებულ ომში დაღუპული მსახიობი ქალის გახსენება ამ გარემოებამ განაპირობა.

აბაშის რაიონში სოფელ მარანში დაიბადა.

დედა უმამოდ ზრდიდა დედისერთასა და დედის ნუგეშს.

მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ქეთევან ასათიანი ფოთის თეატრის მსახიობი იყო.

დიდხანს ახსოვდათ ამ ქალაქში მის მიერ შესრულებული როლები. განსაკუთრებული აღიარება მსახიობს "ნინოშვილის გურიაში" განსახიერებულმა როლმა მოუპოვა.

წყევლა-კრულვით კი არა, შაშხანით შეეგება ქალიშვილი ომს და წავიდა. დედის ლოცვა თან გაიყოლა "ჯიუტმა" კაფანდარა ქალიშვილმა.

1943 წლის ოქტომბერი.

გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს დნეპრთან. დნეპრთან ბრძოლამ შვა ასობით გმირი.

მსახიობ ქალს მდინარის გადალახვა დაავალეს და გმირის როლი ანდეს. ოღონდ ამჯერად არა სცენაზე სათამაშოდ, არამედ, ნამდვილ ბრძოლის ველზე შესასრულებლად. უნიჭიერესად "განასახიერა" სისხლიანი "სპექტაკლი" ქართველმა ქალიშვილმა მსახიობმა, ჩინებულად მოირგო მან როლი სამშობლოსათვის თავდადებული შვილისა და ღირსეულად გააგრძელა ქეთევანების გმირული ისტორია.

ქართველ მსახიობ ქალთაგან ქეთევან ასათიანი ერთადერთი იყო, მეორე მსოფლიო ომის მთელი საშინელებანი საკუთარ თავზე რომ გამოსცადა და ყველაზე ძვირფასი _ სიცოცხლე უყოყმანოდ მიიტანა სამსხვერპლოზე.

გმირთა მოსაგონებლად მრგვალი თარიღები არაა საჭირო!

*ლევან გაბეჩავა*

# ამბავნარი

მსოფლიოში ყველაზე ძველი საათი, რომელიც დღემდეა შემონახული, დამზადებულია 1386 წელს. იგი დადგმულია სოლსბერის (ინგლისი) საკათედრო ტაძარში.

***

ბაყაყი გოლიათი _ მსოფლიოში ყველაზე დიდი ბაყაყი 1906 წელს აფრიკაში აღმოაჩინეს. 35 სანტიმეტრი იყო მისი სიგრძე, წონა კი 1კგ.

***

ზვიგენები არასოდეს ავადდებიან ინფექციური დაავადებებით, ჭრილობები კი "თვალის დახამხამებაში" უხორცდებათ.

***

სიმინდს დიდი კვებითი თვისება აქვს. 100 კგ. მარცვალი შეიცავს დაახლოებით 70 კგ. სახამებელს, 13 კგ. ცილას, 6 კგ. ცხიმს.

***

ღორი და ძროხა დანიის ეკონომიკის საფუძველია. ამიტომ არის, რომ მათ დიდი ადგილი უკავიათ დანიის ხელოვნებაშიც კი. ღორი და ძროხა გამოსახულია ფერწერულ ტილოებზე, ჩამოსხმულია ბრინჯაოში, გამოკვეთილია ქვაში და ა.შ.

***

ჩვეულებრივი ფანქრით თურმე შესაძლებელია გავლებულ იქნას 60 კმ. სიგრძის ხაზი, ან დაიწეროს 50 ათასამდე სიტყვა.

***

70 წლის სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ძილში ატარებს 23 წელიწადს, საუბარში _ 13, ჭამაში კი _ 6 წელიწადს.

***

120 გრადუსამდე გაყინული ლოკოკინა გათბობისთანავე იწყებს მწვანე სალათის ჭამას.

***

დღის განმავლობაში სხვადასხვაა ადამიანის სიმაღლე. იგი ყველაზე მაღალია დილაადრიან, საღამოს მისი სიმაღლე მცირდება 1,2 სანტიმეტრით, ხოლო ხანგრძლივი სიარულის დროს 4-6 სანტიმეტრითაც კი. ეს იმიტომ ხდება, რომ იკუმშება ხრტილის შუა შრე ხერხემლის მალებსა და სახსრებს შორის.

***

პირველი სანოტო სისტემა გამოიგონა და დააწესა იტალიელმა ბერმა გვადო პრეტოელმა.

***

ლურსმნული დამწერლობის საიდუმლოება გერმანელმა მეცნიერმა გროტეფენდმა ამოხსნა.

***

ინდოეთის ერთ შტატში სპილოების "სკოლაა" გახსნილი, სადაც სპილოებს ასწავლიან შეასრულონ ბრძანებები: აიღე მორი, ზურგზე შეისვი გამრეკი, ამოტუმბე (ხორთუმით) წყალი და ა. შ.

*შეკრიბა ლევან გაბეჩავამ*

## ბიოლოგები სამზარეულოში ქცევის წესების დაცვისკენ მოგვიწოდებენ



საშიში ბაქტერიების შესწავლის შედეგების გაანალიზებისას, ბიოლოგები სამზარეულოში ქცევის წესების დაცვისკენ მოგვიწოდებენ.

დანა და სახეხი სამზარეულოში ბაქტერიების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გადამტანია. სპეციალისტები დაბეჯითებით გვირჩევენ, რომ აღნიშნული საგნები გავრეცხოთ სხვადასხვა პროდუქტის დაჭრისა და გახეხვის შემდეგ. ბაქტერიები არა მარტო სხვა პროდუქტზე შეიძლება აღმოჩნდეს, არამედ მთელს სახლში გავრცელდეს.

ჯორჯიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, ლაბორატორიულ პირობებში სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული ბაქტერიულად (სალმონელასა და ნაწლავის ჩხირის მსგავსი პათოგენები გამოიყენეს) დააბინძურეს. კერძოდ, დანით ჭრიდნენ პომიდორს და ნესვს, რათა დაედგინათ, როგორ ვრცელდებოდა ბაქტერიები დანიდან პროდუქტებზე. ამ დროს დანა არ ირეცხებოდა. ექსპერიმენტი გაიმეორეს სახეხზეც (გახეხეს სტაფილო). დანა და სახეხი სამზარეულოში დამატებითი ჯვარედინი დაბინძურების წყარო აღმოჩნდა, რადგან პათოგენები მარტივად გადადიოდა ერთი პროდუქტიდან მეორეზე. პათოგენების გადაცემის ხარისხი დამოკიდებული აღმოჩნდა თავად პროდუქტის სახეობაზე. მაგალითად, პომიდორს უფრო აქტიურად გადაჰქონდა პათოგენები, ვიდრე მარწყვს.

## ანზორიკო გაგუას მონატრება

საოცრად მოკლეა წუთისოფელი, რომელიც ხშირად მთელ სიცოცხლეს იტევს. შენთვის კი ერთი წამი აღმოჩნდა საბედისწერო. 2015 წლის 22 იანვარი. ამ საშინელმა დღემ 22 წლის ასაკში წაგვართვა შენი თავი, რომელმაც არ დაგაცალა უნივერსიტეტის დამთავრება. შენი ჩაფიქრებული გეგმების დაწყებაც კი და სანაცვლოდ



უსაშველო ცრემლი დაგვიტოვა. ყველასთვის მოულოდნელი იყო, ბებიკო, შენი გარდაცვალება. ბრგე ვაჟკაცი, სრულიად საღსალამათი, უცებ რომ გამოგვეცალე ხელიდან. რამდენი შეშფოთებული და დაფეთებული თვალი შეჰყურებდა შენს ცხედარს. ნუთუ მართლა აღარ არის ანზორ გაგუა? ვაი, რომ მართლა წადი ჩვენი ცხოვრებიდან. რომ იცოდე ანზორიკო, რა ძნელია და აუტანელი უშენობა. დიდი დრო არ არის გასული, რაც დაგვტოვე, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ შევიგრძნოთ, რა ფასდაუდებელი განძი დაჰკარგა ჩვენმა ოჯახმა, სამაკაცომ და დიდმა სამეგობრომ. გამოგეთხოვეთ შენ, ჩვენში ყველაზე გამორჩეულს, ყველაზე ლამაზს, ნიჭიერს და ღვთისმოშიშს, შენს სამშობლოზე, საძმაკაცოზე და მეგობრებზე უსაზღვროდ შეყვარებულს.

ჩემო ბედდამწვარო ანზორიკო, წამებში, როგორც ჩიტი ისე გაგვიფრინდი, გაქრი, როგორც ერთი ამოსუნთქვა. რა სახიფათო ყოფილა ცხოვრება, ამას არ ველოდი, რადგან შენ ისეთი ფრთხილი იყავი ყველაფერში. უზომოდ დათრგუნული ვართ. რა გიშველოთ? რა მოვიმოქმედოთ? შენ ყველას გულში ტკივილიანი კვალი დაუტოვე. გვენატრები, გვენატრები. ანზორიკო! ჩვენო უდიდესო საგანძურო უდროოდ წადი ჩვენგან. რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ კვლავ დაგვიბრუნდე. რა ვქნათ? მსუბუქი ყოფილიყოს ბებიკო შენთვის, შენი სამშობლოს მიწა. მარადიულ ნათელში გამყოფოს უფალმა. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, შენი ოჯახი, საძმაკაცო და უამრავი მეგობარი იცოცხლებს და ილოცებს შენი ლამაზი სულისთვის. შენი სიცოცხლე ქარიშხალს ჰგავდა, ჩვენო საყვარელო ანზორიკო, ხოლო სიკვდილი მეხის გავარდნას. ჩვენო დიდო ტკივილო, ცრემლო და მაინც დიდო იმედო!

*შენი გაუბედურებული ოჯახი*

---

ვაჟა ტერელაძის ოჯახი გულისტკივილით იუწყება ღვაწლმოსილი ექიმ-რენტგენოლოგის, კეთილშობილი პიროვნებისა და საუკეთესო მეგობრის, ქალბატონ

**მაყვალა გელეიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ჭირისუფლებს.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს გელეიშვილების ოჯახს ქალბატონი

**მაყვალა გელეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

# ვულოცავთ!



**ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას!**

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გვწამს, სამტრედიის გამგებლად თქვენი მუშაობის წლები ღირსეულ ასახვას ჰპოვებს მუნიციპალიტეტის სახელოვან ისტორიაში.

უფალმა გაგაძლიეროთ!

**"სამტრედიის მაცნე"**

***

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეწრის თემის წარმომადგენლობა დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ **ვალერიანე ფოცხვერიას,** ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და წინსვლას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

***

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ **ვალერიანე ფოცხვერიას,** წინსვლა და წარმატება ყოფილიყოს მუდამ თქვენი მეგზური, წყალობა არ მოგკლებოდეთ უფლისგან.

***

დაბადების დღეს გილოცავთ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი, წარმატებებს გისურვებთ!

***ვეტერანთა რაიონული კავშირი***



სესილი ჭურღულია
ფოტო განწყობისთვის



## ცისფერი მთები

**ვარსკვლავოსან ელდარ შენგელაიას!**

კინოკადრად გაფრენილი
ეკრანს შერჩა თქვენი საქმე,
ისევ ნათლად გვესახება
"პიპინიას" "პერის" სახე.
მაყურებლის აღტაცება –
სიყვარულის ეგ ლანდია,
ქვეყანაში კვლავაც გვესმის:
"გაიტანეთ, გრენლანდია"!

# ვულოცავთ!

მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს საჯავახოს თემში შავლეგ თარგამაძეს და ქეთევან აბაშიძეს ვულოცავთ მესამე შვილის, თაიას შეძენას. ღმერთმა გაგიზარდოთ სოფლისა და ქვეყნის სიძლიერად. ღვთის წყალობა არ მოკლებოდეს, მისი კარგი ქართველობით გეამაყოთ და გეხაროთ!

***"სამტრედიის მაცნე"***

**თეონა წიქარიშვილსა და გიორგი ფანცულაიას!**

გაბედნიერებას გილოცავთ, შვილთა სიმრავლეს, მარადიულ სიყვარულს გისურვებთ. უფალმა გაგაძლიეროთ!

***სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობა***



**მამუკა ახობაძეს!**

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მამუკა ახობაძეს უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში!

***"სამტრედიის მაცნე"***

**ნინო რევიშვილს!**

3 თებერვალს 3 წლისა ხდები, თვალებხატულა ნინო! სიყვარულით, ბედნიერი მომავლის იმედით გილოცავ დაბადების დღეს! ზღაპრულ სამყაროს ემსგავსოს შენი ბავშვობის წლები, გულლაღად ნანატრი ყველა ოცნება აგსრულებოდეს. ღვთისმშობლის კალთა, წმინდა ნინოს ჯვარი გფარავდეს!

***შოთა პაპავა***



**ვაჟა ნიკურაძეს!**

70 წლის შესრულებას გილოცავთ, ჩვენი ოჯახის დიდ თავკაცს, ჩვენს სიამაყესა და საიმედო დასაყრდენს! ღმერთმა მრავალი ბედნიერი წელი გიბოძოს, სიკეთით, ღვთის შეწევნითა და თანადგომით გაგევლოს წუთისოფლის სირთულეებით აღსავსე ბილიკები. უფალი გფარავდეს შენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად, წარმატებულ სპორტსმენს და ღირსეულ მოქალაქეს კვლავაც ბევრი საქვეყნო საქმე გეკეთებინოს და ღირსეული თაობები აღგეზარდოს. გვიყვარხარ და გვეიმედები!

***მეუღლე, შვილები და შვილიშვილები***



რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა